

ტიალო ნუთისოფელო... A2




კანონიერების კულტურა A4



დებატები, როგორც სასიყვარულო აქტი A7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ორშაბათი, 31 ოქტომბერი, 2005 წელი. №241 (1101) — ფასი 50 თეთრი

## ამბები

### საბერძნეთი კორუფციასთან ბრძოლას ახალი სპეცსამსახურით იწყებს

ახალი ანტიკორუფციული უწყება უპრეცედენტო უფლებამოსილებით იქნება აღჭურვილი, კერძოდ, ამ სამსახურს ექნება შესაძლებლობა. პროკურორის მიერ გაცემული სანქციის გარეშე გადაამოწმოს საეჭვო საბანკო ანგარიშები.

A3

## სამართალი

### დოლიძეების საქმე - სტრასბურგის სასამართლოს პერსპექტივით

19 აგვისტოს, ბახმაროში გამართული დოღიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 22 აგვისტოს სოფელ ვაკიჯვარში დააკავეს მამა-შვილი შალვა და ლადო დოლიძეები. ჩოხატაურის პოლიციამ საქმე ერთ დღეში "შეკერა", უფრო ზუსტად, 200-გვერდიანი საქმე უკვე შედგენილი იყო, როცა მამა-შვილი დააკავეს.

A5

## რევიუ

### ვინ მოასწრო გადაღება?

ბოლო ერთი თვეა, თბილისში ძალიან ბევრი ფოტომოყვარული შევნიშნე, იმაზე მეტი, ვიდრე ჩვეულებრივ დღეებში. თავიდან ვიფიქრე, რომ ეს თბილისური მოდის ახალი "ტენდენცია" იყო, მაგრამ როგორც მერე გავიგე, ფოტოაპარატი ხელში ბევრს "ჯეოსელის" ახალმა აქციამ ააღებინა.

A8

## რევიუ

### ლევან ლაღიძის პერსონალური გამოფენა TMS-ში

"ხელოვნებაში პასუხი კი არ უნდა ვიპოვოთ, არამედ კითხვები ვეძებოთ. მხატვრობა ხომ გზაში ყოფნაა. და ყველაფერი მშვენიერი, რასთანაც მხატვარს შეხება აქვს საკუთარ სამყაროში მოგზაურობისას, ცდილობს გადმოიტანოს და რეალურ სამყაროში დაამკვიდროს.

A8

## ამინდი

| | 31/10 | 1/11 |
| --- | --- | --- |
| თბილისი | 12 | 16 |
| ტყიბული | 18 | 17 |
| სოხუმი | 17 | 13 |
| დმანისი | 7 | 12 |
| გორი | 11 | 14 |
| ონი | 10 | 11 |
| ზუგდიდი | 21 | 15 |
| ახმეტა | 12 | 16 |
| სამტრედია | 20 | 17 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
| --- | --- |
| აშშ დოლარი | 1.7975 |
| ევრო | 2.1844 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2046 |
| რუბლი | 0.0632 |

| | |
| --- | --- |
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| კანონიერების კულტურა | A 4 |
| სამართალი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |

# ჯი-ემ-თი თბილისს ხელოვნების უბანს ჩუქნის

სოფო კილასონია

*თბილისის მერიის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ეროვნული ბიბლიოთეკის, ხელოვნების ნაციონალური ცენტრის და ჯი-ემ-თი ჯგუფის ინიციატივით შეიქმნა "ფონდი ხელოვნების უბანი-სამუზეუმო ქუჩა." ფონდის მიზანია შეიმუშაოს ხედვა და ხელი შეუწყოს თბილისის განვითარებას, რათა იგი ჩამოყალიბდეს ხელოვნების უბნად სამუზეუმო ქუჩის ბაზაზე. აღნიშნული მიზნის განხორციელებას ფონდი რამდენიმე ეტაპად ახდენს. ერთ-ერთია ფონდის მიერ განხორციელებული კონკურსი ხელოვნების უბნის და სამუზეუმო ქუჩის ურბანული განვითარების კონცეფციის და გენერალური გეგმის შემუშავებაზე. ფონდთან არსებულმა მუშა ჯგუფმა, რომელსაც ფრანგი არქიტექტორი ჟან ფრანსუა მილუ ხელმძღვანელობს, ჩაატარა სამუშაო, რათა შეექმნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საკონკურსო პირობები.*



ჟან ფრანსუა მილუ და მისი ქართველი კოლეგები.

*სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდა უბნის საფუძვლიანი შესწავლა და მოპოვებულ მრავალფეროვან მასალაზე დაყრდნობით შეიქმნა მონაცემთა ბაზა, თემატური რუკები და უბნის სამგანზომილებიანი ელექტრონული მოდელი, რომლებიც დაურიგდა კონკურსის მონაწილეებს. პირველი საეტაპო ნაბიჯი გადადგმულია. კონკურსისთვის მზადებამ გარკვეულ შედეგს მიაღწია. ამ ყოველივეს პრეზენტაცია კი გუშინ, ხელოვნების მუზეუმის საგამოფენო დარბაზში მოხდა.*

გაგრძელება A7 გვერდზე

# „მთელ ქვეყანას შერცხვენა ელის"

ნინო გომართელი

*თავადი ნიკიტა ლობანოვ-როსტოვსკი – მემუარისტი და კოლექციონერი დაიბადა 1953 წელს, სოფიაში. ბიძის, ნიკოლაი ვირუბოვის მეშვეობით პარიზში იქნა ემიგრირებული. 1958 წელს ინგლისში, ოქსფორდის უნივერსიტეტი დაამთავრა და გეოლოგიაში მაგისტრის წოდება მიიღო. განათლება ამერიკის შეერთებულ შტატებში განაგრძო, სადაც 1960 წელს, კოლუმბიის უნივერსიტეტში ეკონომიკური გეოლოგიის მაგისტრის წოდება მიიღო, ხოლო 1962 წელს, ნიუ-იორკის უნივერსიტეტში - საბანკო საქმის მაგისტრის დიპლომი.*

გაგრძელება A3 გვერდზე



# რუსეთი - ევროკავშირში კრიზისის წყარო

ნიკა თარაშვილი

რუსეთთან ურთიერთობები შესაძლოა, ახალი, დაუგეგმავი კრიზისის საფუძველი გახდეს ევროკავშირში. გასულ კვირაში ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში შეკრებილმა ჩრდილოეთის ქვეყნების მთავრობების მეთაურებმა ერთხმად აღნიშეს, რომ ევროპაში რუსეთის მიმართ ერთიანი პოლიტიკა აღარ არსებობს.

შვეციის პრემიერ-მინისტრმა იორან პერსონმა განაცხადა, რომ გერჰარდ შრიოდერის მიერ რუსეთის მიმართ გატარებული "სეპარატისტული" პოლიტიკა, ევროპის პატარა ქვეყნებისთვის საფრთხეს წარმოადგენს და, ფაქტობრივად, რუსეთთან მიმართებაში ევროკავშირის ერთიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებას უშლის ხელს.

გაგრძელება A3 გვერდზე



გერმანიის "სეპარატისტული" პოლიტიკა ევროკავშირის ერთიანობას საფრთხეს უქმნის.

# მორიგი კონფლიქტი სოხუმის საქალაქო საბჭოში

ენვერ კუპრავა
*სოხუმიდან*

სოხუმის საქალაქო საბჭოში კვლავ "საწარმოო" კონფლიქტი წარმოიქმნა. სიტუაცია მას შემდეგ გამწვავდა, როდესაც საბჭოს ხელმძღვანელმა გივი გაბნიამ დეპუტატებს შესთავაზა, სოხუმის შინაგან საქმეთა სამმართველოს ანგარიში გადაწყვეტილების პროექტის გარეშე დაემტკიცებინათ. ასეთი დოკუმენტის არარსებობის მიუხედავად, გაბუნიამ განაცხადა, რომ შესაძლებელია მისი მხარდაჭერა ან დაბლოკვა, იმის მიხედვით, დეპუტატები ქალაქის მილიციის მუშაობას "დამაკმაყოფილებლად" შეაფასებენ თუ უარყოფითად.

ამან ზოგიერთი დეპუტატის უკმაყოფილება გამოიწვია. შედეგად, განხილვა იმით დასრულდა, რომ საქალაქო საბჭოს ხელმძღვანელის უკანონო ქმედებით განაწყენებულმა დეპუტატებმა ხელში ჩაიგდეს საბჭოს ბლანკები, რომელზეც ისინი გადაწყვეტილების პროექტის დაწერას აპირებდნენ. ასეთმა ქმედებამ კონფლიქტი კიდევ უფრო გააღრმავა. საბჭოს მდივანმა რაისა იბრაგიმოვამ პრესას, პოლიტიკურ და არასამთავრობო ორგანიზაციებს აცნობა, რომ "შესაძლოა, საბჭოს სახელით, ქალაქში გავრცელდეს მისსავე ბლანკზე დაბეჭდილი ყალბი დოკუმენტები."

მოგვიანებით, გავრცელდა დედაქალაქის დეპუტატთა კორპუსის ხელმძღვანელის გივი გაბნიას წერილობითი გაფრთხილება იმის შესახებ, რომ იმ ბლანკებს, რომლებზეც არ არის საბჭოს ბეჭედი, ძალა არა აქვს.

სოხუმის საქალაქო საბჭოში კონფლიქტები პერიოდულად წარმოიშობა ხოლმე. ისინი, ძირითადად, მერიის წინააღმდეგ საქალაქო საბჭოს დეპუტატების დემარშებს უკავშირდება. მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინათ დეპუტატებმა მხოლოდ მეორე ცდაზე მოახერხეს ქალაქის მერის ასტამურ ადლეიბას მიერ კულტურის სამმართველოს უფროსის პოსტზე წარდგენილი კანდიდატურის დამტკიცება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# აწყობილი საქმე სავალუტო ფონდის მისიის ახალი ხელმძღვანელისათვის

### ჯონ ვეიკმან-ლინი: საქართველოს ხელისუფლებას დღეიდან საქმე ფონდის ამ მაღალჩინოსანთან ექნება

*სავალუტო ფონდის მისია თითქმის დასრულდა. მხოლოდ ერთი ფორმალური მხარის მოგვარება დარჩა - საქართველოს ხელისუფლებას ჯონ ვეიკმან-ლინი, როგორც ფონდის საქართველოს მისიის ხელმძღვანელი, ოფიციალურად უნდა გაეცნოს. დღეს იგი საქართველოს ეროვნულ ბანკში მივა, მოგვიანებით კი მას უკვე შეხვედრები მთავრობის წევრებთან ექნება. მიუხედავად იმისა, რომ ჯონ ვეიკმან-ლინი საქართველოში ჯერ არ ჩამოსულა, სავარაუდოდ, უკვე ცნობილია ის განცხადება, რასაც იგი თბილისში გააკეთებს – საქართველოს ხელისუფლებამ ფონდის წინაშე აღებული ყველა ვალდებულება შეასრულა.*

გოგა კალაძე

ბოლო შეხვედრა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრებს ეროვნულ ბანკში ჰქონდათ. **„საქართველოს ეროვნულმა ბანკმა აღებული ვალდებულებები წარმატებით შეასრულა. შედეგებით კმაყოფილები ვართ,"** – განაცხადა მისიის ხელმძღვანელმა ჯულიან ბერენგაუტმა შეხვედრის შემდეგ. კმაყოფილები იყვნენ ეროვნულ ბანკშიც. **„საერთაშორისო სავალუტო ფონდს, მთავრობასა და ეროვნულ ბანკს შორის ახალი მემორანდუმი გაფორმდება, რომელშიც დარჩენილი პერიოდისათვის და 2006 წლისათვის ეკონომიკურ-ფინანსური პროგრამის ძირითადი შინაარსი აისახება. ეროვნულმა ბანკმა ყველა მაჩვენებელი წარმატებით შეასრულა,"** – აღნიშნა რომან გოცირიძემ. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თქმით, მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთაშორისო სავალუტო რეზერვები, მიმოქცევაში არსებული ფულის მასა კონტროლქვეშაა, ინფლაცია კი, რომელიც ამჟამად 7 პროცენტია, წლის ბოლომდე შეიძლება შემცირდეს. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელის ინფორმაციით, სრულდება მუშაობა საქართველოში საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგიაზე. მზადდება ცვლილებები საბანკო კანონმდებლობაში მისი ლიბერალიზების მიმართულებით.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მდიდრებმა თავს მიხედონ

### სოციალური პაკეტი ღარიბებისთვის

თამარ მაისურაძე

ცოტა ხნის წინ, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილის საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენელთა წინაშე გაკეთებულმა განცხადებამ მოსახლეობა შეაშფოთა. პარლამენტში მისულმა მინისტრმა თქვა, რომ სახელმწიფო მხოლოდ უმწეოების მშობიარობის ხარჯებს გადაიხდიდა. მინისტრის განცხადებას მოსახლეობის უკმაყოფილება მოჰყვა. "სახელმწიფო პროგრამების გადახედვა შემცირებას არ უნდა გულისხმობდეს. უმწეო ვინ არის, იცის ჩვენმა მთავრობამ? ადამიანი, რომელიც მუშაობს და აქვს მინიმალური ხელფასი, როგორ ფიქრობთ, შეძლებს თანხის გადადებას იმისთვის, რომ მშობიარობის ფული გადაიხადოს? პირად მაგალითზე გეტყვით, ვინაიდან მეანის დაქირავების საშუალება არ მქონდა, იმ 200-ლარიანი ვაუჩერის მომსახურებით დავკმაყოფილდი, რაც სახელმწიფომ ჩემთვის გაიმეტა. იმ დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაშია, როდესაც ამბობენ, რომ სულ რამდენიმე წელში ჩვენი მოსახლეობის რაოდენობა განახევრდება, შეიძლება, ისიც გააუქმო, რაც აქამდე გაგიკეთებია? ეს ხომ მოსახლეობისთვის სერიოზული დარტყმა იქნება? თუ სოციალური პაკეტის შემცირებაზეა ლაპარაკი, მაშინ რაში გამოიხატება ბიუჯეტის პრეფიციტი?" – ეს კითხვები ორი შვილის დედამ ანი ხაბეიშვილმა დასვა და დაუმატა, რომ მის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხი ბევრს აინტერესებს.

მიუხედავად იმისა, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში სახელმწიფო პროგრამებზე მუშაობა ახლა მიმდინარეობს და სწორედ ახლა წყდება პრიორიტეტებისა და სახელმწიფო სტანდარტების საკითხი, ფაქტია - მინისტრმა მის მიერ გაკეთებული განცხადების "შინაარსი" უკვე იცის.

გაგრძელება A2 გვერდზე

## მდიდრებმა თავს მიხედონ

პირველი გვერდიდან

ჩვენი რესპონდენტის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხი მინისტრის მოადგილემ კოკა ფრუიძემ გაგვცა:

**"სახელმწიფო პროგრამები ახლა დგება. რაც შეეხება მშობიარეების ვაუჩერების საკითხს, 2006 წლის 1 ივლისამდე ძველი პროგრამა იმუშავებს. მთავრობამ, ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ჩატარდეს საქართველოს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის აღრიცხვა, რომელიც ამა წლის ივლისის თვიდან მიმდინარეობს.**

**2006 წლის მეორე ნახევრიდან, ანუ მას შემდეგ, რაც ჩვენი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შესახებ სრული სურათი გვექნება, ახალი პროგრამა ამუშავდება.**

**არ შეიძლება, ყველას ერთნაირად დაეხმარო - იმას, ვინც მხოლოდ ამ ვაუჩერით იხდის მომსახურების პაკეტს და ვინც 600-ლარიან სამედიცინო მომსახურებას ქირაობს.**

**მას მერე, რაც საქართველოს მოსახლეობის სოციალური დონე გაირკვევა, სოციალურად დაუცველი სფეროს სრულ დაფინანსებაზე გადავალთ. ანუ, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობა სახელმწიფოსგან 100 პროცენტით დაფინანსებულ სამედიცინო მომსახურებას მიიღებს. ადამიანმა, რომლის შემოსავალიც თვეში 5 ათასი ლარია და მეორემ, რომელიც თვეში მხოლოდ 50 ლარს იღებს, ერთნაირი დაფინანსება რომ მიიღოს, უზნეობაა.**

**ევროპის რამდენიმე ქვეყანაში სოციალური დახმარების სისტემა შემდეგნაირადაა აწყობილი: ვინც ნაკლებ ხელფასს იღებს, ნაკლები გადასახადი აქვს. ვინც მეტს იღებს, მეტს იხდის. სოციალურ დახმარებას კი ყველა თანაბრად იღებს. ეს ძალიან კარგი მოდელია, მაგრამ ძალიან მდიდარ ქვეყნებში მუშაობს კარგად. ჩვენს მიერ არჩეული მოდელი კი ამერიკულთან არის მიახლოებული.**

**რაც შეეხება სოციალურ პაკეტს, არანაირად არ მცირდება, უბრალოდ, ხდება დიფერენციაცია. სახელმწიფოს მონაწილეობა სოციალურ პაკეტში თითოეული ადამიანის მდგომარეობის პროპორციული უნდა იყოს. მათ კი, ვისაც დიდი შემოსავალი აქვს, სამედიცინო დაზღვევაზე იფიქრონ, თავს თვითონ მიხედონ."**

## კაზინოს გახსნისთვის სანებართვო მოსაკრებელი იზრდება

2006 წლის პირველი იანვრიდან უნდა ამოქმედდეს საკანონმდებლო ცვლილება, რომლითაც თბილისში კაზინოს გახსნისთვის სანებართვო მოსაკრებელი 5 მილიონ ლარამდე იზრდება.

2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ამ ბიზნესიდან სანებართვო მოსაკრებლის სახით 5 მილიონი ლარის მიღებაა დაგეგმილი. ამის მიზეზი ის არის, რომ ფინანსთა სამინისტროს ვარაუდით, თბილისში ერთ კაზინოზე მეტი ვერ იფუნქციონირებს.

ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, რომ გეგმა რეალისტურია, თუმცა თბილისში თუ ერთზე მეტი კაზინო დარჩა, საბიუჯეტო გეგმა გადაჭარბებით შესრულდება. 2006 წლის პირველი იანვრიდან, ბათუმში კაზინოების გახსნისთვის სანებართვო მოსაკრებელი ერთი მილიონი ლარი იქნება. საქართველოს მასშტაბით, კაზინოების ბიზნესის დაწყება უფასო მხოლოდ წყალტუბოში იქნება. **ინტერპრესნიუსი**

## იტალიის დახმარებით თბილისში ახალი კლინიკა გაიხსნება

რამდენიმე თვეში თბილისის სამედიცინო აკადემიის კლინიკის ბაზაზე გაიხსნება უახლესი აპარატურით აღჭურვილი სამედიცინო კლინიკა, რომელსაც საქართველოს საჩუქრად იტალიის მხარე გადასცემს. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გუშინ გამართულ შეხვედრაზე მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა და იტალიის მხარის წარმომადგენლებმა ამ შეთანხმებას მოაწერეს ხელი. იტალიის მხარეს წარმოადგენდა იტალიის ელჩი საქართველოში ფაბრიციო რომანო. შეხვედრას ასევე ესწრებოდა იტალიელი ექიმი-ქირურგი ჯონ ლუიჯი მელორტი, რომელმაც ბოლო რვა წლის განმავლობაში უდიდესი დახმარება გაუწია ქართულ მედიცინას. როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა შეხვედრაზე განაცხადა, **"ჯონ ლუიჯი მელორტმა ამ ხნის განმავლობაში საქართველოს ეტაპობრივად დაახლოებით ნახევარი მილიონი დოლარის აპარატურა გადმოსცა უსასყიდლოდ."** ქირურგს საქართველოში გაკეთებული აქვს დაახლოებით 500-მდე ურთულესი, ჰუმანიტარული ოპერაცია. 15 ლაპარასკოპიული (უსისხლო) ოპერაცია საქართველოში ბოლო ვიზიტისას ჩაატარა.

გუშინდელ შეხვედრას ესწრებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ქალაქ ატლანტაში მოღვაწე ქართველი ექიმი პაატა ესართია, **"რომელსაც ქართველი კოლეგებისთვის არაერთი დახმარება აქვს გაწეული,"** – აღნიშნა მინისტრმა.

მოგვიანებით, ჯონ ლუიჯი მელორტმა და პაატა ესართიამ თბილისის მერისგან, გიგი უგულავასგან საქართველოსთვის გაწეული ღვაწლისთვის სპეციალური ორდენები მიიღეს.

*24 საათი*

# ჩიალო წუთისოფელო...

ნინო ბერელიძე

*ჩარგალი ერთი პატარა სოფელია ფშავში, რომლის არსებობა საქართველოში ყველამ იცის, რადგან ის ვაჟა-ფშაველას სამშობლოა. ყველას აქვს სურვილი, ეს ულამაზესი სოფელი საკუთარი თვალით ნახოს, ზოგი ახერხებს, ზოგიც სამომავლოდ გეგმავს. ვინ და რა დარჩება მომავლისთვის ჩარგალში? იქ, ჩარგალში დღესაც ბევრი რამეა ხელუხლებელი და შეუცვლელი, განსაკუთრებით კი, დუხჭირი ცხოვრება, რაც ოდითგან "ახლობელი" იყო საქართველოს მთიანეთის მოსახლეობისთვის. სოფელში ძველი, დრო-ჟამისაგან დახავსებული სახლებია გაბნეული. ჩარგალში ერთი საშუალო სკოლაა, სადაც რამდენიმე ბავშვი სწავლობს. სოფლის მოსახლეობა 60 ოჯახს არ აღემატება და უკლებლივ ყველა სიღარიბეში ცხოვრობს.*



ჩარგლისაკენ მიმავალი სამანქანო გზა ზოგან მეწყერს წაულეკავს და უზარმაზარი ბუნებრივი ქარაფები წარმოუქმნია, ზოგან კი მდინარეს წაულია და ალაგ-ალაგ ფესვებიანად მოგლეჯილ ხეებს დაუფარავს. სოფელში უმრავლესობა რაზიკაშვილები არიან და ისინი, როგორც იქ იტყვიან, სუყველა ვაჟა-ფშაველას სახლიკაცები არიან. ირგვლივ ისეთივეა ყველაფერი, როგორიც ვაჟას დროს იყო, არაფერი შეცვლილა: ქალამნიანი და ტყაპუჭიანი ფშაველები. მათი ძირითადი საქმიანობა მეცხოველეობა და მიწათმოქმედებაა, მაგრამ მთის სოფლები მწირნიადაგიანია და მოსავალსაც მცირეს იძლევა. დღეს ნადირობასაც იშვიათად მისდევს ვინმე, რადგან სანადირო ცხოველი აღარ შემორჩა ტყეს. მთაში მცხოვრებ კაცს დალხინებული ცხოვრება არასოდეს ჰქონია და ცუდი ტრადიციაა, მაგრამ არც დღეს აქვს - სიცივე და შიმშილია მათი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი.

ზამთარი მთაში, ოქტომბრის ბოლოს იწყება და სოფელი გარე სამყაროს მთლიანად წყდება. სოფლელები ზამთრისათვის სარჩოს გაჭირვებით იმარაგებენ, ძირითადად, პურის ფქვილი ამოაქვთ. მოსახლეობა ზამთარს ელექტროენერგიის გარეშე ატარებს და ჭრაქის შუქით განათებული ოროღობეები მნახველს იქაურ თუნდაც ორი საუკუნის წინანდელ გარემოს აღუდგენს. მათ არც სატელევიზიო ანძა აქვთ და არც სხვა საინფორმაციო საშუალება გააჩნიათ. დაცარიელებულ სოფელში უმეტესად ხანდაზმული ადამიანებია შემორჩენილი და ისინიც ერთმანეთის იმედად ცოცხლობენ, ერთმანეთს ცხოვრებას უადვილებენ. გლეხის ყოფა კარგსა და ცუდ ამინდზეა დამოკიდებული და ამის გამო ხშირად ხდება, რომ მოსავლის გარეშე რჩებიან. საარსებო წყაროც სხვა არაფერი გააჩნიათ და ერთი ლარიც კი თვეობით შეიძლება არ ჰქონდეთ ოჯახში. მკაცრი და რთულია მათი ცხოვრება, რომელსაც უდრტვინველად იტანენ, თავიანთ გასაჭირზე სიტყვაძუნწად საუბრობენ და იმასაც ხშირად იმეორებენ, "თავს ზემოთ ძალა არ არისო." გარესამყაროდან კი არაფერი ეხმარებათ, "ძალა ალმართს ხნავსო", რომ დაიჩემონ.

ჩარგალს ზაფხულის დასაწყისში დროებით აყრიამულებენ სხვადასხვა კუთხიდან ექსკურსიაზე ჩასული მოსწავლეები. ისინიც რამდენიმე საათით ესტუმრებიან პოეტის სახლ-მუზეუმს, სოფელი ვერც კი იგებს მათ სტუმრობას.

ალექსანდრე რაზიკაშვილი, ვაჟა-ფშაველას შვილიშვილი: **"მომსვლელი და მნახველი ბევრი აღარავინაა. ადრე უფრო მეტი ხალხი მოდიოდა და გზებიც უკეთესი იყო. ვეღარ ვაკეთებთ, ბარითა და წერაქვით სამანქანო გზის გაკეთება ძალიან ძნელია. გამკეთებელიც აღარავინაა სოფელში. ჩვენ რომ საქონლის საძოვრებზე და სათიბებში მიმავალი ბილიკები შევაკეთოთ, ისიც დიდი საქმეა. ახალგაზრდობა აქ ვეღარ ჩერდება და ვინც დავრჩით, მხოლოდ ამ მთებს შევჩერებივართ. ზამთარში ერთმანეთთან გადასვლაც გვიჭირს მოხუცებს, რადგან სახლებიც შორი-შორსა დგას. რაიონის ცენტრსაც საერთოდ მოწყვეტილნი ვართ ასე, ცასა და დედამიწას შორის გამოკიდებული. ადრე სკოლაში ვასწავლიდი, ახლა კი მიჭირს იქ სიარული და სახლში ვზივარ. სკოლის შენობა გაურემონტებელია და წვიმა ჩამოდის. სასწავლებელიც აღარავინაა, სულ 14 ბავშვი სწავლობს, რომლებსაც სახელმძღვანელოებიც საერთო აქვთ. პენსიაა ჩემი შემოსავალი და იმასაც თვეობით ვერ ვიღებ ხოლმე. ბაბუაჩემის კარ-მიდამოს მოვლა და პატრონობა სჭირდება, რომელსაც მარტო ვერ ავუდივარ. ახალ სახლ-მუზეუმს რაიონის გამგეობა პატრონობს რემონტსაც უკეთებს და ფულითაც გვეხმარება. აი, ძველ სახლს კი, სადაც ვაჟა-ფშაველა ცხოვრობდა, მხოლოდ მე ვუვლი - აღარც ფიზიკურად შემიძლია და აღარც ფინანსურად. დიდთოვლობისას გადმომთოვლავი არავი დარჩა სოფელში. კრამიტით გადახურული სახურავი იმტვრევა და შეკეთება მიჭირს. გაზაფხულზე, ეზოში მოძალებული ბალახის გათიბვაც კი აღარ შემიძლია. მუზეუმის სანახავად ბავშვები მოჰყავთ და აქედან მრჩება ცოტაოდენი ფული. წელიწადში 200 ლარი თუ იქნება, მაგრამ ამით სახლსაც უნდა მივხედო და თავიც უნდა გავიტანო."**

ჩარგალში საოცრად თბილი განწყობა გეუფლება ადამიანს, მაგრამ ტკივილნარევი სევდაც არ გტოვებს. სიპი ქვით ნაშენ სახლებში ისევ შუაცეცხლს უსხედან ფშაველი მოხუცები და უამრავ საინტერესო ამბავს ყვებიან. მათ წინაპრებივით გაჭირვებული ყოფა უდგათ დღესაც, მაგრამ ისინი მხოლოდ შემცირებულ მეზობლობაზე დრტვინავენ: "მცირენი დავრჩით და თავის გატანა ამად გვიჭირსო," - ამბობენ.

## კიდევ ერთი ნაბიჯი ოჯახური ძალადობის დასაძლევად

*ოჯახური ძალადობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია "საფარმა" ფილიპ მორისის მენეჯმენტ სერვისის საქართველოს წარმომადგენლობისა და ევრაზიის ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული ათთვიანი პროექტი შეაჯამა. ამ ხნის განმავლობაში "საფარი" 412 ადამიანს მოემსახურა, აქედან მედიკო-ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია 15 ქალმა გაირა, 241-მა სატელეფონო, 198-მა კი კაბინეტური კონსულტირება მიიღო. მიუხედავად ამისა, ორგანიზაციის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემები არ შემცირებულა, თუმცა სახელმწიფოს თანადგომის შემთხვევაში მათი გადაჭრა გაცილებით გაიოლდებოდა.*

ირმა კახურაშვილი

პროექტი "ოჯახი ძალადობის გარეშეს" ფარგლებში თბილისში, ქუთაისსა და თელავში რამდენიმე სადისკუსიო შეხვედრა გაიმართა. მომზადდა ბროშურა ძალადობის მსხვერპლთათვის, მასმედიის სხვადასხვა საშუალებებში (მათ შორის "24 საათში") იმუშავა სოციალურმა რეკლამამ, შეიქმნა დოკუმენტურ მასალაზე აგებული ფილმი "დაბრუნება", რომელმაც ამ სფეროში მოქმედი სპეციალისტების ყურადღება და უდავო მოწონება დაიმსახურა. "მიუხედავად ამისა, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ოჯახური ძალადობის პრობლემების გაცნობიერების დონე ძალიან დაბალია როგორც ე.წ "მოძალადეებსა" და "მსხვერპლებში", ისე სახელმწიფო სტრუქტურებშიც. ფსევდოტრადიციების ტყვეობაში მოქცეული საზოგადოება თავად ქმნის ისეთ ატმოსფეროს, სადაც ოჯახში ძალადობა ურთიერთობის მიღებული ფორმა ხდება," - აცხადებს პროექტის დირექტორი ზურაბ ბებერაშვილი. მისი თქმით, უკანასკნელი ათი თვის განმავლობაში "საფარს" აკითხავდნენ ოჯახური კონფლიქტების შედეგად ზღვრამდე მისული ადამიანები (95% ქალები), რომლებსაც გარკვეული "სელექციის" შემდეგ დახმარებას ფსიქოლოგები, ფსიქიატრები და ექიმები უწევდნენ, ასწავლიდნენ სოციალურად სასარგებლო ჩვევებს, კონფლიქტის დაძლევის გზებსა და სხვას.

**"ცხადია, რომ უფრო ეფექტური ქმედებებისთვის სხვა სამუშაო მიმართულებებია დასაგეგმი და ამაში სახელმწიფო უნდა დაგვეხმაროს. საქმე ისაა, რომ რეაბილიტაციაგავლილი ადამიანი კვლავ უბრუნდება ჩვეულ გარემოს, სადაც იძულებულია ძველებურად იცხოვროს. მას არ აქვს სოციალური გარანტია იმისა, რომ მოძალადისგან კანონით იქნება დაცული. ამდენად, ჩვენი მოკლევადიანი პროექტი ძალადობის მსხვერპლთათვის მხოლოდ ამოსუნთქვის ერთგვარი საშუალება იყო,"** - ასკვნის ფსიქოლოგი ნატო ზაზაშვილი. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა რეგიონებში, სადაც ოჯახური ძალადობა ჩვეული ურთიერთობის რანგშია აყვანილი და "თაობიდან თაობასაც" კი გადაეცემა.. "არც არის გასაკვირი. უამრავი მამაკაცის რწმენით, ქალი მისი თანასწორი არ არის. ასეთი დომინანტურობა კი ემოციური, ფიზიკური და სექსუალური ძალადობის სახეს იღებს. მოხშირებულია პათოლოგიური შემთხვევებიც - პიროვნული აშლილობები, აფექტები. მამაკაცებს (ზოგჯერ ქალებს) თვითშეფასების დაქვეითებასთან ერთად პროტესტის გრძნობა უჩნდებათ და აგრესიაში გადადის. შემჩნეულია, რომ მოძალადეთა უმრავლესობა წარსულში თავადაც ძალადობის მსხვერპლი იყო," - აკონკრეტებს თბილისის ფსიქო-ნევროლოგიური დისპანსერის დირექტორი ნესტან დუდუჩავა.

პროექტის მსვლელობისას გამოიკვეთა, რომ ძალადობის მთავარი მიზეზი სიღარიბე და ტოტალური უმუშევრობაა, ასევე, განათლების დაბალი დონე. ამას თან ერთვის ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის პრობლემა, საოჯახო ფუნქციების არათანაბარი გადანაწილება და ყველაზე მთავარი - არასრულყოფილი იურიდიული კანონმდებლობა. ცნობილია, რომ სასამართლოში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებული საქმე პრაქტიკულად არ აღიძვრება, ოჯახური კონფლიქტების დარეგულირებაში, უფრო ზუსტად, მოდავეების გაშველებაში კი მხოლოდ "პატრული" მონაწილეობს. "საფარის" წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ოჯახურ ძალადობის დასაძლევად საჭიროა ამ სფეროში გამოცდილების მქონე "არასამთავრობოების" კორდინირებული მუშაობა.

საინტერესოა, რომ, პროექტის ფარგლებში მიმდინარე დისკუსიების დროს, რომლებშიც ჟურნალისტები, იურისტები და სტუდენტები მონაწილეობდნენ, კითხვაზე "რა შეიძლება გაკეთდეს ოჯახური ძალადობის შესამცირებლად" პასუხი ერთი შეხედვით მარტივი და... ძნელადასრულებადი იყო - განათლების სისტემის სრულყოფა და საზოგადოების მენტალიტეტის შეცვლა.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, უამინდობის გამო, ცხინვალში აღარ გაემგზავრა. ზურაბ ნოღაიდელი და სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა ცხინვალში გუშინ უნდა გამგზავრებულიყვნენ, სადაც დაგეგმილი იყო შეხვედრები როგორც ქართველ, ასევე ოსურ მოსახლეობასთან. პრემიერ-მინისტრი მოსახლეობისთვის ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების იმ გეგმის გაცნობას აპირებდა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშავა და რომლის განხორციელებაზეც უკვე მიღებულია საერთაშორისო თანამეგობრობის და აშშ-ს თანხმობა. აღნიშნული გეგმა 24-25 ოქტომბერს მოსკოვში გამართული შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე რუსულმა მხარემაც მოიწონა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**წინანდალი.** ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ეზოში სოფელ წინანდლის მოსახლეობა შეიკრიბა და საპროტესტო აქცია გამართა. ისინი დეკორატიული ბაღის, აგრეთვე, მისი მიმდებარე ობიექტების გასხვისებას ეწინააღმდეგებიან და ადგილობრივი თვითმმართველობის განკარგულებაში მათ გადაცემას ითხოვენ. წინანდლელები ბაღის მოვლა-პატრონობაში მონაწილეობის მიღებას თავად გეგმავენ და ბიზნესმენების ქველმოქმედების იმედიც აქვთ. ადგილობრივი მოსახლეობა ოთხშაბათს, 12.00 საათზე უფრო ფართომასშტაბიან აქციას გეგმავს, რომელსაც, მათი თქმით, ახლომდებარე სოფლების მოსახლეობაც შეუერთდება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**ბორჯომი.** საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საზეიმოდ გახსნა ბორჯომის რაიონის სოფელ ვარდგინეთთან მისასვლელი ხიდი, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში მომხდარმა წყალდიდობებმა მთლიანად დაანგრია და წაიღო. პრეზიდენტი ასევე დაესწრო ვარდგინეთის სკოლის გახსნას. სოფელში დაწყებითი ოთხკლასიანი სკოლა 1934 წლიდან ფუნქციონირებს, მაგრამ მას აქამდე რემონტი არ ჩატარებია. სკოლის შენობა ავარიულ მდგომარეობაში იყო. მიმდინარე წელს, რაიონის გამგეობის და ბორჯომის დეპუტატის ნოდარ გრიგალაშვილის ერთობლივი ძალისხმევით მოხერხდა ამ სკოლის გარემონტება. პრეზიდენტი მიესალმა მოსახლეობას, სკოლის დირექციას კი დაჰპირდა, რომ ახლო მომავალში ბავშვებისათვის მოედანსაც გააკეთებს. ამის შემდეგ პრეზიდენტი თბილისში გაემგზავრა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ახალი საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტი" მომავალ კვირას პარლამენტს ლუსტრაციის შესახებ კანონპროექტს შესთავაზებს, რომელიც ფრაქციის ინიციატივითაა მომზადებული. "ამ კანონის მიღებას დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები არჩევნებამდე ჰპირდებოდნენ მოსახლეობას," - აღნიშნა ფრაქციის წარმომადგენელმა გია თორთლაძემ. მისი განცხადებით, საქართველოში არქივები აღნიშნული კანონის მიღების შემდეგ გაიხსნება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ბობოყვათში მდებარე, მეცნიერთა შემოქმედებითი სახლის დაუმთავრებელ შენობას კონკურსის წესით ყიდის, რომლის საწყისი გასაყიდი ფასი 600 000 დოლარით განისაზღვრა.

შენობა-ნაგებობების საერთო ფართი 11895,6 კვ.მ-ია, მიწის ფართის სიდიდე 50 000 კვ. მ-ს შეადგენს.

მყიდველი ვალდებულია, ქობულეთში მოქმედი ქალაქმშენებლობის ნორმების სრული დაცვით, ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 თვის ვადაში უზრუნველყოს თანამედროვე დონის სასტუმრო კომპლექსის დაპროექტება და ექსპლუატაციაში შეყვანა, რისთვისაც არანაკლებ 4 მლნ. დოლარის ღირებულების კაპიტალდაბანდება უნდა განახორციელოს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში დაინტერესებულ პირთათვის განცხადებების მიღება მიმდინარე წლის 28 ნოემბრამდე გაგრძელდება. 29 ნოემბერს კი კონკურსი ჩატარდება. **ინტერპრესნიუსი**


# კომპანია "სტენტონ ექვითის კორპორეიშენი"

# განცხადება

სამშაბათს, 25 ოქტომბერს ეკონომიკის განვითარების სამინისტროში გაიხსნა საკონკურსო პაკეტები, სააქციო საზოგადოება "მადნეულის" აქციათა 97,25%-ის (მასში შედის შ.პ.ს. "კვარციტის" 50%) და შპს "ტრანს ჯორჯიან რესურსის" 50%-ის პრივატიზაციის შესახებ. პრივატიზაციის კონკურსში მონაწილეობს ორი კომპანია ქართული "ინდუსტრია და ენერგია კომპლექსი" და ბრიტანული "სტენტონ ექვითის კორპორეიშენი".

სს "მადნეულის" პრივატიზაციასთან დაკავშირებით საკმარისზე მეტად უსიამოვნო ხმები გაისმა, შესაბამისად სხვადასხვა PR აქტივობა ძირითადად პრივატიზაციაში მონაწილე კომპანიების მხრიდან სხვადასხვა ბრალდებებით აისახა. ჩვენი კომპანია "სტენტონ ექვითის კორპორეიშენი" მზადაა დაიცვას ბიზნეს ეთიკა და პრივატიზაციაში მონაწილე მეორე კომპანიისაგან განსხვავებით არ განახორციელოს PR ზეწოლა საქართველოს მთავრობაზე. ჩვენს ინტერესში შედის, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ იხელმძღვანელოს **მხოლოდ** საპრივატიზაციო დოკუმენტების ეკონომიკური პარამეტრებით და შესაბამისად არჩევანი უკეთესი წინადადების სასარგებლოდ გააკეთოს. აბსოლუტურად შესაძლებლად ვთვლით საპრივატიზაციო დოკუმენტები გამოქვეყნდეს პრესით, რომ საზოგადოება არ შევიდეს შეცდომაში სხვადასხვა PR მანიპულაციებით.

**კომპანია "სტენტონ ექვითის კორპორეიშენი" კიდევ ერთხელ აფიქსირებს, რომ ს/ს "მადნეულის" პრივატიზაციაში კომპანია იხდის 51.1 მლნ აშშ დოლარს, აქედან ს/ს "მადნეულის" აქციებში - 35,1 მლნ აშშ დოლარს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ს/ს "მადნეულის" სახელმწიფო ვალს - 16 მლნ აშშ დოლარის ოდენობით.**

კომპანია "სტენტონ ექვითის კორპორეიშენი" შედის კომპანიათა ჯგუფი "პრომიშლენიე ინვესტორის" შემადგენლობაში. კომპანიათა ჯგუფი "პრომიშლენიე ინვესტორი" არის ერთ-ერთი წამყვანი საინვესტიციო კომპანია რუსეთში. კომპანიათა ჯგუფის დღევანდელი საბაზრო კაპიტალიზაცია 1 მილიარდ აშშ დოლარს აღემატება კომპანიათა ჯგუფის "პრომიშლენიე ინვესტორის" სტრატეგიაში შედის არა მხოლოდ ხანგრძლივვადიანი ინვესტიციები, არამედ აქტიური მონაწილეობა თითოეული საწარმოს განვითარების მიმართულებით. "პრომიშლენიე ინვესტორის" გუნდს გააჩნია უზარმაზარი გამოცდილება კომპლექსური საინვესტიციო პროექტების განხორციელებაში.

**კომპანიათა ჯგუფის "პრომიშლენიე ინვესტორის" ახალი მიმართულება არის სამთო-მეტალურგიული ობიექტების ყიდვა და განვითარება.** მადნეულისა და კვარციტის ყიდვის შემდეგ კომპანია აპირებს ჭიათურმანგანუმის და ვარციხეჰესის აქციებისა და აქტივების შეძენას. მიმდინარეობს მოლაპარაკებები ერთ-ერთი სომხური სამთო-გადამამუშავებელი საწარმოს შესყიდვის თაობაზე, რომელიც მადნეულის ანალოგიურად სპილენძის კონცენტრანტს აწარმოებს. ასევე კომპანია განიხილავს დაბანდებებს სპილენძის გადადნობის საწარმოებში, რაც სპილენძის და სხვა თანმხლები სასარგებლო ლითონების წარმოების სრული ციკლის კონტროლირების საშუალებას იძლევა. განიხილება საქართველოს რაჭის მხარეში ლითონის დარიშხანის გამამდიდრებელი საწარმოს მშენებლობის პროექტი, სათანადო ტექნოლოგიების მფლობელი დასავლელი პარტნიორების მოზიდვით. საბოლოო ჯამში აქტივების კონსოლიდაციით კომპანია გეგმავს მარგანეცის კონცენტრატის, ფეროშენადნობის, სპილენძის კონცენტრატის, სპილენძის, დარიშხანის და სხვა სასარგებლო ლითონების წარმოების ერთიანი სამთო-მეტალურგიული ჰოლდინგის შექმნას.

**აღნიშნულ პროექტში ინვესტიციების საერთო მოცულობა შეადგენს დაახლოებით 300 მილიონ დოლარს.**

კომპანია "სტენტონ ექვითის კორპორეიშენი"-ის იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს მთავრობა მიიღებს სახელმწიფოსთვის მომგებიან გადაწყვეტილებას და უახლოეს პერიოდში ს/ს "მადნეული" აღმოჩნდება საიმედო და ძლიერი ინვესტორის ხელში.

*კომპანია "სტენტონ ექვითის კორპორეიშენის"*
*პრეს-სამსახური*


მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# „მთელ ქვეყანას შერცხვენა ელის“

*1962 წელს ნიკიტა ლობანოვ-როსტოვსკი პარიზელ ნინა ჟორჟ-პიკოზე დაქორწინდა. მას შემდეგ, ცოლ-ქმარი მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის რუსი მხატვრების თეატრალურ-დეკორატიული ნამუშევრების კოლექციონერები არიან.*
*ნიკიტა ლობანობ-როსტოვსკი აუქციონ “სოტბი”-ს მრჩეველი, ლონდონში “თეატრალური მუზეუმის ასოციაციის” დირექტორი და ნიუ-იორკში საქველმოქმედო მუზეუმის “მეტროპოლიტენი”-ს წევრია.*
*1991 წლიდან არის ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე, მაგრამ მეტწილად ლონდონში ცხოვრობს.*
*ალექსანდრ გრიბოედოვის სახელობის აკადემიური რუსული დრამატული თეატრის 160 წლის იუბილესთან დაკავშირებით თავადი ნიკიტა ლობანოვ-როსტოვსკი თბილისში იმყოფება. “24 საათთან” მან იმ პრობლემაზე ისაუბრა, რომლის წინაშეც საქართველო უკვე 6 წელია, დგას და რომლის გამოც, შესაძლოა, ახლო მომავალში საერთაშორისო სკანდალი მოხდეს. “პრეზიდენტ სააკაშვილს და მთელ ქვეყანას შერცხვენა ელის,” – ამბობს თავადი.*


ბესო გულაშვილის ფოტო

პირველი გვერდიდან

90-იანი წლების ბოლოს კულტურული თანამშრომლობის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი, რომლის პრეზიდენტიც გრეგ გუროვია, საქართველოს ეროვნული საგანძურის ამერიკაში გატანას და იქ რამდენიმე შტატში მათ გამოფენას ცდილობდა. საქართველოს მთავრობამ, რომელსაც ედუარდ შევარდნაძე ხელმძღვანელობდა, გუროვის ფონდთან შეთანხმებას მიაღწია და შესაბამისი კონტრაქტიც გაფორმდა.

თუმცა, ამ ფაქტს მალევე საზოგადოების, სტუდენტების და საპატრიარქოს პროტესტი მოჰყვა, რის შემდეგაც ხელისუფლებამ, შევარდნაძის ხელმძღვანელობით, იდეაზე უარი თქვა. შედეგად კი, არშემდგარი გამოფენის ორგანიზატორმა, ამერიკელმა ბიზნესმენმა გრეგ გუროვმა ფონდისთვის ზარალის ანაზღაურება მოითხოვა, რაც 750 ათას აშშ დოლარს შეადგენს.

საქართველოს ხელისუფლებამ პირველად 2002 წელს და მეორედ გასულ წელს, 80-80 ათასი აშშ დოლარი გადაიხადა. თუმცა, დღეს ქვეყნის ხელისუფლება დარჩენილი თანხის გადახდაზე უარს აცხადებს. როგორც ნიკიტა ლობანოვ-როსტოვსკი ამბობს, კულტურული თანამშრომლობის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი არ აპირებს შეეგუოს შექმნილ ვითარებას და, რა თქმა უნდა, წარმატების მოლოდინში, სასამართლოში საჩივრის შეტანას გეგმავს.

**“მე გრეგ გუროვის კულტურული თანამშრომლობის საერთაშორისო ფონდის მმართველთა საბჭოს წარმომადგენელი ვარ და დღეს ჩემი მიზანია, საქართველოს პრეზიდენტამდე როგორღაც მივიდეს ინფორმაცია იმ მდგომარეობაზე, რომელშიც ვიმყოფებით. ჩემი აზრით, სააკაშვილი საქმის კურსში არ არის ან ვერ წარმოუდგენია, რა შედეგები ექნება ამ ყველაფერს.**

**საქართველოს მხრიდან დადებული კონტრაქტის შეწყვეტის მიუხედავად, დღემდე გუროვი საქართველოსთან მეგობრულ დამოკიდებულებაშია და საქველმოქმედო მოღვაწეობას აგრძელებს.**

**ფონდის დირექტორთა საბჭოს სხდომებზე, რომელიც წელიწადში ორჯერ იმართება, გუროვი იმედს იტოვებდა, რომ საქართველო მიყენებულ ზარალს აგვინაზღაურებდა, დასტურად კი მოჰყავდა ფაქტები, რომ ქვეყანამ ორჯერ - 2002 წელს და გასულ წელს 80-80 ათასი აშშ დოლარი გადაიხადა. ამ მიზეზით რადიკალური გადაწყვეტილება ფერხდებოდა.**

**ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის შესაბამისად, მმართველთა საბჭოს წარმომადგენლები ვალდებულნი არიან, იზრუნონ საქველმოქმედო ფონდის საკუთრებაზე, რომ ის გაიფანტოს. ფონდმა საქართველოსთან დადებული კონტრაქტით ხარჯი გასწია. ეს იმას ნიშნავს, რომ ფონდს ამჟამად 150 ათასი აშშ დოლარი აკლია და ამას ემატება წლიური პროცენტი, რაც წლების განმავლობაში დაგროვდა. ხომ გესმით, ამ თანხით ძალიან ბევრი კულტურული ღონისძიების ორგანიზებას შევძლებდით.**

**10 თებერვალს, როდესაც დირექტორთა საბჭოს სხდომა იქნება, მე ვაპირებ დავაფიქსირო ჩემი პოზიცია და დავარწმუნო სხვებიც, რომ უნდა შეიცვალოს პოზიცია და ფონდმა სასამართლოში სარჩელი უნდა შეიტანოს. თუ ეს მოხდება, შეერთებული შტატების სასამართლოს გადაწყვეტილება ცალსახად საქართველოს წინააღმდეგი იქნება და ეს არა მხოლოდ დადებული კონტრაქტის საფუძველზე, არამედ იმ უამრავი წერილის საფუძველზეც, რომელსაც ქართველი ჩინოვნიკები ჩვენ გვწერდნენ.”**

კითხვაზე, ესაუბრა თუ არა იგი საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, პრეზიდენტს ან თუნდაც კულტურის სამინისტროს, ნიკიტა ლობანოვ-როსტოვსკი პასუხობს, რომ ქართული მხარე უარზეა.

ფონდის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლებას აშკარად არაფრის გაგება სურს.

**“იცით, რატომ არ სურთ ფულის გადახდა? იმიტომ, რომ წელიწადში ერთხელ აქ მინისტრები ან იცვლებიან, ან მათ კლავენ. შესაბამისად, ფულის გადახდის არანაირი ინტერესი არ არსებობს. ასე რომ, მე ყველა მინისტრის პოზიცია მესმის. ისინი ასე ფიქრობენ: ხვალ საკუთარ პოსტზე აღარ ვიქნები და არავინ არაფერზე მომთხოვს პასუხს.**

**სასამართლოში ჩივილს საქართველოსთვის ძალიან ნეგატიური შედეგი ექნება. თუნდაც ისიც კმარა, რომ გაზეთებში გამოჩნდება სათაურები – “საქართველოს პრეზიდენტი უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა”; ან “საქართველო უპასუხისმგებლო ბიზნესპარტნიორი იქნება; ის დადებული კონტრაქტის პირობებს არ ასრულებს.”**

**დღეს ჩემი მიზანია, რომ სასამართლო პროცესამდე რაღაც შეთანხმებას მივაღწიოთ. ამაში დაინტერესებული კი იმიტომ ვარ, რომ სასამართლო პროცესის გამართვის შემთხვევაში, ჩვენს ფონდს 100 ათასი კიდევ დასჭირდება. მართალია, საბოლოოდ, ვინც პროცესს აგებს, ყველა ხარჯს ის ანაზღაურებს, თუმცა ეს ფული ახლა ჩვენ ხომ საკუთარი ჯიბიდან უნდა დავდოთ?!**

**მე ვალდებული ვარ, ფონდის ბიუჯეტის ხარჯვა ვაკონტროლო. მორალური თვალსაზრისით კი ნამდვილად მინდა, სასამართლო თავიდან ავიცილო.”**

თავადი ნიკიტა ლობანოვ-როსტოვსკი კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობის გამო დღეს ძალიან კრიტიკულად არის საქართველოს მიმართ განწყობილი. თუმცა, მას ეს ქვეყანა ძალიან უყვარს და აქაურობასთან ბევრი კარგი რამ აკავშირებს. დღესაც, როდესაც იგი თბილისში იმყოფება, საქართველოს კულტურაზე აღფრთოვანებით საუბრობს და კარგად იცნობს თითოეულ კულტურულ საგანძურს, რაც ჩვენ გვაქვს.

**“საქართველოში პირველად 30 წლის წინ ჩამოვედი. მაშინ ხშირად ჩავდიოდი მოსკოვში და იმის გამო, რომ ვარ კოლექციონერი, ვაგროვებ ნახატებს, მითხრეს, რომ საქართველოში და ერევანში შესაძლებელი იყო იმის ნახვა, რაც აკრძალული იყო მოსკოვში. 30 წლის წინ აქ კადინსკის ნამუშევრის ნახვა შეიძლებოდა. ეს ნახატი იმდენად დიდი ღირებულებისაა (დაახლოებით, 9 მილიონი ღირს), რომ მისი გაყიდვით შესაძლებელია ხელოვნების მთელი მუზეუმის რესტავრირება, რომელიც ამჟამად საშინელ მდგომარეობაშია.**

**როდესაც მე თქვენთან ჩამოვედი, აქ მსოფლიო კულტურის გიგანტები იყვნენ.**

**სხვათა შორის, გუშინ იმ ადგილას ვიყავი, სადაც საქართველოს ინტელიგენციაა დაკრძალული და, გარკვეულწილად, შევშფოთდი, რადგან საფლავებზე, ისევე როგორც ბიუსტებსა თუ ძეგლებზე, ქართულის გარდა, სხვა ენაზე წარწერები არ არის. ეს კულტურული თვალსაზრისით კრიმინალია. საქართველოში მთელი მსოფლიოდან ჩამოდიან და მათ არ იციან ქართული ენა. ეს ხომ ქვეყნის სიმდიდრე და სიამაყე, ჩვენც გაგვიზიარეთ ეს სიამაყე.”**

ნიკიტა ლობანოვ-როსტოვსკი დაახლოებით 30 წლის განმავლობაში იცნობდა პარიზში რუსი ემიგრანტების კუმირს სალომე ანდრონიკაშვილ-ჰალპერნს. გარდაცვალების შემდეგ, მისი სურვილის შესაბამისად, 80-იან წლებში საქართველოს სერებრიაკოვას მიერ დახატული, სალომე ანდრონიკაშვილის პორტრეტი დაუბრუნა. ანდრონიკაშვილთან დაკავშირებულ ისტორიას თავადი ასე მოგვითხრობს: **“დედაჩემის მამა ვასილი ვირუბოვი დროებითი მთავრობის პირველ თავმჯდომარესთან, თავად ლვოვთან მინისტრი იყო. მე 1917 წლის პეტერბურგზე გიამბობთ.**

**პეტერბურგში ცხოვრობდა და მუშაობდა რუსი-ებრაელი ადვოკატი, გვარად ჰალპერნი, რომელიც რამდენიმე უცხო ენას ფლობდა და ინგლისის საელჩოს ადვოკატი იყო. რამდენიმე წლის შემდეგ, ობიექტური მიზეზების გამო, ბაბუაჩემი ხვდება პარიზში და სწორედ იქ, ასევე ობიექტური მიზეზების გამო მოხვედრილ ჰალპერნს ხვდება, სადაც იგი უკვე როგორც საერთაშორისო ადვოკატი, ისე მუშაობს. პარიზშივე არაჩვეულებრივი ქალბატონი სალომე ანდრონიკაშვილი გაიცნობს ჰალპერნს, ქორწინდება და ამ გზით, იგი ბაბუაჩემის წრეში ხვდება. სალომე ანდრონიკაშვილი უაღრესად საინტერესო ადამიანი იყო. ის არ ყოფილა ულამაზესი, თუმცა ძალიან მომხიბლავი იყო და როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს იზიდავდა.**

**ის თითქმის მთელ რუსულ კულტურულ ემიგრაციასთან ახლო ურთიერთობაში იყო და ყველა მის პორტრეტებს ხატავდა. საბოლოოდ, სალომე ანდრონიკაშვილი მეც გავიცანი.**

**რუსულ ემიგრაციაში იგი მემარცხენედ იყო მიჩნეული და ყოველთვის ამბობდა, რომ მთელს თავის ქონებას საბჭოთა კავშირს უტოვებდა. ეს ფაქტი იმ დროს წარმოუდგენელი იყო. იცოდა რა ჩემი ინტერესი მხატვრობის მიმართ, მაჩუქა შუხაევის პირველი ესკიზი.**

**გარდაცვალების შემდეგ, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, სალომე ანდრონიკაშვილმა საბჭოთა კავშირს მხოლოდ ერთი რამ – სერებრიაკოვის მიერ დახატული მისი პორტრეტი დაუტოვა, რომელიც შემდეგ მე საქართველოს გადმოვეცი.”**

## მორიგი კონფლიქტი სოხუმის საქალაქო საბჭოში

პირველი გვერდიდან

სოხუმის საქალაქო საბჭოს პოლიტიკური მოღვაწეობა ნაკლებად შესამჩნევია. მიმდინარე წლის დასაწყისში ის რამდენჯერმე გაეხვია კონფლიქტში. იმხანად დეპუტატების მიერ დაკავებული თანამდებობიდან ერთხმად იქნა "გაძევებული" საბჭოს ყოფილი ხელმძღვანელი გუბაზი. მის შემდეგ საბჭოს სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა იურისტი, სახალხო პარტიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გივი გაბნია. შემდეგად, საბჭოში გაჩნდა გადახრა ოპოზიციის მხარეს. დეპუტატებმა ხელი მოაწერეს რამდენიმე დოკუმენტს, რომელშიც საუბარია გასულ წელს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების უკანონობაზე. აღნიშნული დოკუმენტების მიღებას სკანდალი მოჰყვა. დოკუმენტებს დეპუტატების მხოლოდ ნახევარმა მოაწერა ხელი. თუმცა, ქალაქის საბჭოს სახელით, ისინი მაინც მიიღეს. დეპუტატების ნაწილი იმ პერიოდში საქალაქო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობას არ ღებულობდა.

## აწყობილი საქმე სავალუტო ფონდის მისიის ახალი ხელმძღვანელისათვის

პირველი გვერდიდან

ახლა ჯერი სავალუტო ფონდზეა, რომლის დირექტორთა საბჭომაც ერთ თვეში საქართველოსათვის მორიგი ტრანშის გამოყოფის საკითხი უნდა გადაწყვიტოს. სულ, საქართველომ „სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის“ პროგრამის ფარგლებში, დაახლოებით, 141,6 მლნ აშშ დოლარი უნდა მიიღოს. პირველი ტრანში, დაახლოებით 20 მლნ აშშ დოლარის ოდენობით, ეროვნულმა ბანკმა 2004 წლის 21 ივნისს მიიღო. მეორე ტრანში საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშზე 2005 წლის 11 იანვარს, ხოლო მესამე - 5 აგვისტოს ჩაირიცხა. „სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის“ პროგრამის კრედიტების ვადა განისაზღვრება 10 წლით 0,5 პროცენტი წლიური სარგებლის გადახდითა და 5,5-წლიანი შეღავათიანი პერიოდით.

დღეიდან საქართველოს ხელისუფლებასთან ურთიერთობის გარკვევა ჯონ ვეიკმან-ლინის კომპეტენციაში გადადის. მისი მოკლე ბიოგრაფიული ცნობები კი ასეთია: დაამთავრა წმ. ჯონსისა და ვისკონსინის უნივერსიტეტები, სადაც მას მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭა. მუშაობდა იელის უნივერსიტეტში, იყო უილიამსის კოლეჯისა და ჰარვარდის საერთაშორისო განვითარების ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორი. საერთაშორისო სავალუტო ფონდში 1993 წლიდან საქმიანობს. ამჟამად ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტის ერთ-ერთი განყოფილების უფროსია. ჯონ ვეიკმან-ლინი რიგით მეხუთე მისიის ხელძღვანელია მას შემდეგ, რაც სავალუტო ფონდი საქართველოში ეკონომიკური რეფორმების პროგრამებს ახორციელებს. ზოგიერთ მის წინამორბედს სტარტიც ცუდი შეხვდა და ფინიშიც. ასეთი კოლეგებისაგან განსხვავებით, ჯონ ვეიკმან-ლინს აშკარად გაუმართლა.

## გელა ბეჟუაშვილი ამერიკის როლს "უმნიშვნელოვანესს" უწოდებს

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი ამერიკის მონაწილეობას ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" სამშვიდობო გეგმის განხორციელებაში "უმნიშვნელოვანესს" უწოდებს.

როგორც გუშინ გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა ოფიციალური კომენტარი გააკეთა, რომლის მიხედვითაც, ამერიკამ პირველად დაადასტურა, რომ მონაწილეობას მიიღებს სამშვიდობო გეგმის განხორციელებაში, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშავა.

გელა ბეჟუაშვილის თქმით, სამხრეთ ოსეთს მიენიჭება ავტონომია, თუმცა იქნება საქართველოს შემადგენლობაში.

"ე.წ. სამხრეთ ოსეთის სამშვიდობო გეგმა განხორციელდება ეტაპობრივად, რომელიც ორიენტირებული იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე," - აღნიშნა ბეჟუაშვილმა.

მინისტრის განცხადებით, აღნიშნულ გეგმას მხარს უჭერს ეუთო-ს წევრი ქვეყნების უმრავლესობა. მისი თქმით, შექმნილია საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გოგა ხაინდრავა ხელმძღვანელობს და მან აღნიშნული გეგმა რუსეთს უნდა გააცნოს.

"ჯერჯერობით, ჩემთვის უცნობია, თუ რა პოზიცია ექნება რუსეთს აღნიშნულ გეგმასთან დაკავშირებით. თუმცა, იმედი გვაქვს, დადებითად შეაფასებს," - განაცხადა ბეჟუაშვილმა.

***ინტერპრესნიუსი***

უცხოეთი

# რუსეთი - ევროკავშირში კრიზისის წყარო

პირველი გვერდიდან

შვეციის პრემიერ-მინისტრის თქმით, ამან (შრიოდერის პოლიტიკამ) უკვე წარმოშვა პრობლემები ბალტიისპირეთის ქვეყნებისთვის. სწორედ ამიტომ, სკანდინაველი პოლიტიკოსი წინადადებით გამოდის, სკანდინავიისა და ბატიისპირეთის ქვეყნებმა მაინც შეიმუშაონ საერთო პოლიტიკა მოსკოვთან ურთიერთობებში.

ამ პოლიტიკის მთავარი პრინციპი – ჩრდილოევროპული გაზსადენის მშენებლობისადმი პროტესტია. ინიციატივის ავტორთა აზრით, სტრატეგიული გაზსადენის მშნებლობა არ შეიძლება, ვიდრე ევროკავიშირის იმ წევრთა ინტერესები არ იქნება გათვალისწინებული, რომელთაც ეს გაზსადენი დარტყმას მიაყენებს. ესენი კი, პრაქტიკულად, მთელი სკანდინავია და ბალტიისპირეთის ქვეყნებია - ფინეთი, შვეცია, დანია, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა – და კიდევ პოლონეთი.



პოლონეთმა დიდი ენთუზიაზმით მიიღო რეიკაიავიკის სამიტის გადაწყვეტილება – მართალია, მას ჩრდილოეთის სახელმწიფოდ ვერ ჩათვლი, მაგრამ რუსეთთან გამწვავებული ურთიერთობების პერიოდში ისლანდიის დედაქალაქში მიღებული გადაწყვეტილება, ვარშავისთვის მეტად სასიხარულო და, რაც მთავარია, დროული აღმოჩნდა. **“სკანდინავიელები, დასავლეთის ევროპისგან განსხვავებით, ჩვენ შეხედულებეს იზიარებენ. რუსეთის მიმართ ჩვენი პოლიტიკის წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, შევძლებთ თუ არა ევროკავშირში სხვა მოკავშირეების პოვნას,”** – ამბობს პოლონეთის სეიმის ახალი სპიკერი მარეკ იურეკი.

ამგვარად, შეთანხმების მიხედვით, ჩრდილოევროპული გაზსადენის მშენებლობის არეალში მოქცეული ყველა ქვეყანა იბრძოლებს ამ გაზსადენის წინააღმდეგ. მათ, ალბათ, დაემატება ნორვეგია, რომელსაც სუბიექტური მიზეზების გამო (ნორვეგია ევროპაში ენერგორესურსების ყველაზე დიდი ექსპორტიორია) ხელს არ აძლევს რუსული ენერგორესურსების წილის გაზრდა ევროპულ ბაზარზე. “გაზსადენის საწინააღმდეგო ალიანსს” შეუერთდება აგრეთვე ისლანდიაც, რომელიც ბალტიისპირეთის ქვეყნებს საბჭოთა კავიშირის არსებობის დროსაც კი უჭერდა მხარს. მსგავსი კოალიციის იგნორირება ალბათ გაჭირდება.

საგულისხმოა, რომ შვეციის პრემიერ-მინისტრის განცხადება რეიკიავიკში სწორედ მაშინ გაისმა, როცა ბერლინში მყოფი ლიტვის პრეზიდენტი ვალდას ადამკუსი მშენებარე გაზსადენის საშიშროების ახსნას ცდილობდა ჯერ “მიმავალი” გერჰარდ შრიოდერისთვის, ხოლო შემდეგ მომავალი კანცლერისთვის – ანგელა მერკელისთვის. გავრცელებული ინფორმაციით, შრიოდერისგან ლიტვის პრეზიდენტმა ცალსახად უარყოფითი პასუხი მიიღო, რის შემდეგაც ადამკუსი ანგელა მერკელის დარწმუნებას შეეცადა, “გამოესწორებინა წინამორბედის შეცდომები”.

მერკელის პასუხი უცნობი რჩება, თუმცა, თავიდანვე ცნობილი იყო, რომ ქრისტიან-დემოკრატები არ აპირებდნენ გაზსადენის მშენებლობაზე უარის თქმას, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი შრიოდერისა და პუტინის “მეგობრობის ნაყოფი” იყო. ანუ, საეჭვოა გაზსადენის პროექტს მერკელმა საფრთხე შეუქმნას, მით უმეტეს, რომ მისი მთავრობის ნახევარი შრიოდერის მინისტრებითაა დაკომპლექტებული.

ასე რომ, ჩრდილოეთის ქვეყნებს არამარტო რუსეთთან საერთო პოლიტიკის შემუშავებაზე მოუწევთ ზრუნვა – როგორც აღმოჩნდა, მოსკოვთან კი არ მიდის მარტო დავა, არამედ - ბერლინთანაც.

## ესპანეთში უმუშევრობა მცირდება

ესპანეთის სტატისტიკური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით, უკანასკნელი სამი კვარტალის განმავლობაში ქვეყანაში უმუშევრობის დონე მკვეთრად დაეცა. ინსტიტუტის თანახმად, უმუშევრობამ ესპანეთში 8.4 პროცენტი შეადგინა, რაც ევროკავშირის მასშტაბით ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ევროპული სივრცის ქვეყნებში უმუშევრობის საშუალო დონის მაჩვენებელი 8.7 პროცენტით განისაზღვრება.

ქვეყნისთვის ეს მნიშვნელოვანი წინსვლაა, რადგან ყოველ კვარტალში უმუშევრობის დონის ერთი პროცენტით შემცირება ეკონომიკური აქტივობის ზრდის დამადასტურებელია. გარდა ამისა, როგორც კვლევის შედეგები მოწმობს, უმუშევრობის დონის შემცირება ასეთი სწრაფი ტემპებით უკანასკნელი 26 წლის მანძილზე ესპანეთში არ მომხდარა.

ზემოაღნიშნული ინსტიტუტი, ზოგადი მაჩვენებლების გარდა, დროებით ხელშეკრულებაზე მყოფი ხალხის პროცენტულ მაჩვენებელსაც აქვეყნებს. როგორც ირკვევა, დასაქმებულთა 34.4 პროცენტს მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, თანაც მათი რიცხვი სულ უფრო მატულობს.

თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ესპანეთის ევროკავშირის მასშტაბით ყველაზე სწრაფი ზრდის 3.4 პროცენტის მიუხედავად, სერიოზულ პრობლემებს გვერდს ვერ უვლის, რაშიც ესპანეთის ეკონომიკაში უცხოური კაპიტალდაბანდების მკვეთრი შემცირება იგულისხმება. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ესპანეთის ეკონომიკაში უცხოური კაპიტალდაბანდების მაჩვენებელი 98.5 პროცენტამდე შემცირდა. თუ შარშან უცხოური კაპიტალდაბანდება იზრდებოდა, მიმდინარე წლის პირველივე კვარტალში იგი 11 პროცენტით შემცირდა.

თუ 2004 წელს ზემოაღნიშნული მაჩვენებელი 2 მილიარდ 365 მილიონი ევრო იყო, მიმდინარე წელს იგი მხოლოდ 34 მილიონ ევროს შეადგენს.

## შობადობა ევროკავშირის ქვეყნებში

ევროპის სტატისტიკური სამსახურის "ევროსტატ"-ის მიერ ახლახან გამოქვეყნებული მონაცემებით, სლოვენია შობადობის მაჩვენებლით ბოლო ადგილზე დგას ევროკავშირის წევრ-ქვეყნებს შორის.

122 ბავშვი ყოველ 100 ქალზე, ასეთია შობადობის მაჩვენებელი უკანასკნელ წლებში ამ ქვეყანაში. "ევროსტატ"-ის გათვლებით, ამგვარი ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში, უკვე 20 წელიწადში ყოფილ იუგოსლავიის რესპუბლიკაში შრომითი რესურსის რაოდენობრივი მაჩვენებელი პენსიონერთა რიცხვობრივ მაჩვენებელს გაუთანაბრდება.

ევროკავშირის 25 წევრ-სახელმწიფოთა შორის, შობადობის მაღალი მაჩვენებლით პირველ ადგილს ირლანდია იკავებს - 199 ბავშვი 100 ქალზე; მას კი საფრანგეთი და ფინეთი მოჰყვება.

თითქმის სლოვენიის მსგავსი მაჩვენებლები აქვს ჩეხეთს, პოლონეთს, ლიტვასა და სლოვაკეთს. **რიანოვოსტი**

Kuzanov Clinic
კუზანოვის კლინიკა
ქართულ-ამერიკული რეკონსტრუქციულ-პლასტიკური და ესთეტიკური ქირურგიის კლინიკა;
ლაზერული ცენტრი; თვალის სრული დიაგნოსტიკა და ქირურგია;სტომატოლოგია;
კოსმეტოლოგია.
გამსახურდიას გამზ. N5
ტელ: 424-005, 8(99) 703-703
www.kuzanov.com
იქ, სადაც სილამაზე იქმნება.

# საბერძნეთი კორუფციასთან ბრძოლას ახალი სპეცსამსახურით იწყებს

საბერძნეთი კორუფციისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლას ახალი სპეცსამსახურის ფორმირებით იწყებს. ხელისუფლების წარმომადგენლები ქვეყნის უმთავრეს პრობლემად კორუფციის მაღალ დონეს ასახელებენ, რომლის დაძლევის გარეშეც ეკონომიკურ ზრდაზე ფიქრიც კი გულუბრყვილობაა.

თანაც საბერძნეთში არც თუ ისე იშვიათია სერიოზული პოლიტიკური თუ ეკონომიკური ხასიათის სკანდალები, რომლის მიღმაც ყოველთვის კორუმპირებული ჩინოვნიკები თუ ბიზნესმენები დგანან. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა გასულ კვირას მმართველი პარტიის წარმომადგენელი დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტით დასრულდა. საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელმა მანდატზე უარი მას შემდეგ თქვა, როდესაც მის წინააღმდეგ კომერციულმა ტელეარხებმა მასალები გაავრცელეს. ეს დეპუტატი კორუმპირებულ იურისტებთან კავშირში ამხილეს. გარდა ამისა, ამავე დღეებში მეორე კორუფციული სკანდალიც აგორდა საბერძნეთში, როდესაც ასევე მედიის საშუალებით ერთ-ერთი ცნობილი ბიზნესმენის მეუღლე იქნა მხილებული ფულის გათეთრებაში.

ახალი ანტიკორუფციული უწყება უპრეცედენტო უფლებამოსილებით იქნება აღჭურვილი, კერძოდ, ამ სამსახურს ექნება შესაძლებლობა. პროკურორის მიერ გაცემული სანქციის გარეშე გადაამოწმოს საეჭვო საბანკო ანგარიშები. გარდა ამისა, სპეცსამსახური არაკანონიერი გზით დაგროვებული ქონებისა და არალეგალური შემოსავლების წინააღმდეგ ეფექტიან ღონისძიებებს გამოიყენებს. მისი უშუალო მოქმედების სფერო ქრთამის აღების, არაკანონიერი კომერციული საქმიანობისა და ბერძნული საფინანსო ინსტიტუტების მიერ ტერორისტული ქსელის დაფინანსების მცდელობის აღკვეთა იქნება.

აფინანსებს ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო", პროექტს ახორციელებს გაზეთი "24 საათი"

# სწავლა თქვენი უფლებაა

**მოსწავლეებს შეხვდა და შეკითხვებზე უპასუხა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ბელა წიფურიამ**

**აქვთ თუ არა მოსწავლეებს აირჩიონ საგნის მასწავლებელი?**

ბ.წ.-მოსწავლეებს აქვთ უფლება, რომ მათი შეხედულებებუი გათვალისწინებული იყოს, მთელ სასწავლო პროცესში, მათ შორის მასწავლებლის შერჩევის პროცესშიც. თუ თქვენ წაიკითხავთ ზოგადი განათლების კანონს, ყველაზე დიდი თავი ეთმობა მოსწავლის, მასწავლებლის და მშობლის უფლებებს სკოლაში. მათ შეუძლიათ ხმა მიაწვდინონ ყველა მათთვის საჭირო ინსტანციას თუ პირს. წარმოიდგინეთ, რომ კანონით, ალბათ, თქვენ იმაზე მეტი უფლებები გაქვთ, ვიდრე სარგებლობთ. ამიტომ ეცადეთ, რომ ყოველთვის იცოდეთ კანონი, თქვენი უფლება მეტია, ვიდრე წარმოგიდგენიათ და სარგებლობთ.

ეს უფრო მეტია, ვიდრე წარმოგვიდგენია.

**რა მიზანს ისახავს ცოდნის შეფასების ახალი სისტემა და რა ჰქონდა უარყოფითი ხუთბალიანს?**

ბ.წ.- მხოლოდ და მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ის რაც არაოფიციალურად ხდებოდა - მანიპულირება პლუსებით და მინუსებით, ის შესაძლებლობები იქნება გათვალისწინებული ათბალიან სისტემაში ოფიციალურად. თუ მასწავლებელი დაგიწერდათ ოთხს პლიუსით, თქვენ იცოდით, რომ ეს ცოტათი უფრო მეტია, ვიდრე კარგი შეფასება, მაგრამ წლის ბოლოს ყოველთვის იყო ალბათობა, როგორ აისახებოდა ეს თქვენს შეფასებაში, იქნებოდა ხუთი თუ მაინც ოთხი. ათბალიან სისტემაში კი ოთხი პლიუსით ცხრა ქულაა, და იცით რომ ერთერთი მაღალი მაჩვენებელი გაქვთ -ცხრა მეტია რვაზე.

**როდიდან დაიწყება ათქულიანი შეფასება?**

ბ.წ.-შეფასების ათბალიანი სისტემა დაკავშირებულია ახალ სასწავლო გეგმასთან. წელს 100 სკოლაში პირველ, მეშვიდე და მეათე კლასებში მიმდინარეობს ე. წ. საპილოტე პროგრამა, რომელიც დაგვანახებს რამდენად არის მზად დღევანდელი სკოლა ახალი პროგრამისთვის, ან რამდენად ეფექტურია ახალი სტანდარტი. წლევანდელი ანალიზი შემდგომ ცვლილებებს შეიტანს.

**რატომ შემოვიღეთ სკოლა თორმეტწლიანად?**

ბ.წ.- ეს არის თანამედროვე მსოფლიოს სტანდარტი. ითვლება, რომ ახალგაზრდამ რომ მიიღოს სრულფასოვანი განათლება, ამისთვის თორმეტი წელია საჭირო, რომ მივიღოთ ის ხარისხი, რაც თანამედროვე ადამიანს სჭირდება. თქვენი თანატოლები დასავლეთში 12 წელი სწავლობენ. საქართველოს დღეს აქვს ვალდებულება აღებული, რომ მოერგოს თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემას. თქვენ, 11 წლის განათლებით, რომ წასულიყავით მაგალითად გერმანიის უმაღლეს სასწავლებელში, არ მიგიღებდნენ, დაგწევდნენ ერთი წლით, ან დაგავალებდნენ კიდევ ერთი წელი უნდა ისწავლოთო. არსებული სისტემა ჯერჯერობით არ ერგება თანამედროვე მოთხოვნებს. აი, როცა 12წლიანი განათლება იქნება, ეს იქნება თანაბარი ატესტატი. პირველი თორმეტწლიანი აბიტურიენტები იქნებიან დღევანდელი მეცხრეკლასელები -ისინი ჩააბარებენ 2009 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. რაც შეეხება 2008 წელს, ამ წელს საქართველოს არ ეყოლება იმწლევანდელი კურსდამთავრებულები და ჩააბარებენ ისინი, ვინც წინა წლებში არ ჩაირიცხა.

**რა სიახლეებია მოსალოდნელი ერთიან ეროვნულ გამოცდებზე?**

ბ.წ.- მისაღები გამოცდების სისტემაში სიახლე იქნება. საზოგადოების დიდი მოთხოვნაა, რომ დაემატოს საქართველოს ისტორიისა და საზოგადოებრივი მეცნიერების ტესტი, შესაბამისად ამ ტესტებზე სერიოზული მუშაობა მიდის - საქართველოს ისტორია მსოფლიო ისტორიის საკითხებთან ერთიან კონტექსტში. აქვე იქნება კითხვები საქართველოს გეოგრაფიიდან, ეს შეიძლება ითქვას კომბინირებული ტესტია - ისტორია და გეოგრაფია. ასევეა საბუნებისმეტყველო ტესტი :ფიზიკა, ქიმია ბიოლოგია. თქვენ ხშირად ხვდებით ფიზიკაში საკითხს, რომელიც მოითხოვს ქიმიის ცოდნას, ან ბიოლოგიაში. ტესტში მაქსიმალურად იქნება ინტეგრირებული ეს საგნები, ტესტის ავტორებს ისიც აქვთ გათვალისწინებული, რომ მუშაობისას დახმარების სახით აბიტურიენტებს მისცენ ინფორმაცია -ანუ თქვენ ის კი არ მოგეთხოვებათ, რომ ზეპირად იცოდეთ ესა თუ ის ინფორმაცია, თეორემა, არამედ პასუხისას დროულად გამოიყენოთ ის, ანუ თქვენი ანალიტიკური უნარია მნიშვნელოვანი და არა ფაქტების ცოდნა. სავარაუდოდ, ქართულ ლიტერატურაშიც ცვლილებებია მოსალოდნელი, მაგრამ ამის შესახებ დაწვრილებით ეროვნული გამოცდების ცენტრი დროულად გაცნობებთ. სიახლეა ისიც, რომ მეოთხე საგნის არჩევის უფლება მარტო ფაკულტეტს არ ეძლევა, არჩევანს აბიტურიენტიც აკეთებს -ორიდან ერთერთ საგანს ირჩევს.

**მართალია, რომ ვისაც სამი ექნება მეათე კლასში ვერ გადავა?**

ბ.წ.-საიდან დაგებადათ ეს კითხვა? არა, ვისაც სამი ექნება, მაინც გადავა.

**როგორი იქნება კოლეჯი?**

ბ.წ.-კოლეჯი იმ ფორმით, რა ფორმითაც არსებობდა აქამდე, რომ ახალგაზრდა მისაღებ გამოცდებს არ აბარებდა და ისე ირიცხებოდა უმაღლესში, აღარ იარსებებს იმიტომ, რომ თანამედროვე განათლების სისტემაში მას თავისი ადგილი აღარა აქვს.

ისეთი სასწავლებელი, კი რომელიც მსურველს გარკვეულ პროფესიულ ცოდნას მისცემს, აუცილებლად იქნება და ამ სფეროს დახვეწა შედის პროფესიული განათლების რეფორმის ამოცანებში - რაც შეიძლება მეტი კარგი პროფესიული სასწავლებელი იყოს. თუ რომელიმე თქვენგანი გადაწყვეტს, რომ დაეუფლოს რამე პროფესიას, რომელიც მას დამოუკიდებელს გახდის და საშუალებას მისცემს იმუშაოს, ასეთი სასწავლებლები აუცილებლად იარსებებს. მაგრამ ეს არ იქნება კომბინირებული. ასეთ სასწავლებელში იგი მხოლოდ პროფესიის ცოდნას მიიღებს, რაც შეეხება ზოგადსაგანმანათლებლო განათლებას, ამას სკოლაში მიიღებს. თუ თქვენ წლის განმავლობაში რაღაც პირობების გამო ვერ შეძელით სკოლაში სიარული, თქვენ შეგიძლიათ გამოცდა ექსტერნად ჩააბაროთ სასკოლო კომისიას. ამის დებულება უახლოეს ხანებში დამტკიცდება და გაეცნობით.

**რა ვალდებულებაა აქვს სახელმწიფოს?**

ბ.წ. -სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა ახალგაზრდას მიუხედავად სქესისა, ოჯახის მატერიალური მდგომარეობისა, მიუხედავად საცხოვრებელი ადგილისა, ეთნიკური წარმოშობისა განათლებაზე ხელი თანაბრად მიუწვდებოდეს.

სახელმწიფო ვალდებულებაა ცხრაკლასიანი სავალდებულო და თორმეტწლიანი უფასო განათლება. მისი ვალდებულებაა იმ ახალგაზრდების დახმარება, რომლებიც საუკეთესო შედეგებს აჩვენებენ ეროვნული გამოცდების დროს, ან პროფესიულ სასწავლებელში, ასევე სახელმწიფო სხვადასხვა ღონისძიებას მიმართავს იმისათვის, რომ ყველას თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი, ვთქვათ, თუ მაღალმთიანი რეგიონების მოსწავლეები ნაკლებად უზრუნველყოფილები არიან, ვიდრე ურბანული რეგიონების ახალგაზრდები. მაგალითად წელს სახელმწიფომ მათთვის დააწესა გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსები, ასევე, კონფლიქტურ ზონაში მცხოვრებთათვისაც, ან არაქართულ რეგიონებში მცხოვრებთათვის. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში თქვენ იჩაგრებით. არა, ისინი უნდა გაგითანაბრდნენ თქვენ, რომ მერე თანაბარ პირობებში გამოამჟღავნოთ თქვენი ცოდნა.



**შეიძლება თუ არა სკოლაში გამოცდები გვქონდეს?**

ბ.წ.-სკოლას უფლება აქვს ისე შეაფასოს, როგორც ის გადაწყვეტს. თუ სკოლა გადაწყვეტს, რომ რაღაც ფორმით შეაფასოს თქვენი ცოდნა, ეს მათი ნებაა, ტესტი იქნება თუ სხვა ტიპის. მაგრამ სკოლაში ერთიანი სახელმწიფო გამოცდა არ იქნება.

**ხშირად ხდება, რომ გაზეთი და ტელევიზია ერთს ამბობს და მერე ირკვევა, რომ ეს ასე არ არის. ვის დავუჯეროთ?**

ბ.წ. - ეცადეთ, რომ დაეყრდნოთ ოფიციალურ ინფორმაციას. საიდან ვიღებთ ჩვენ ოფიციალურ ინფორმაციას? როცა ოფიციალური პირი მასმედიის საშუალებებით აძლევს ინფორმაციას, ეს ოფიციალურია. თუ ის არ არის დარწმუნებული, რომ ეს საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა, მაშინ ის ამბობს, რომ "ჩვენ ვმუშაობთ ამ საკითხზე", თუ ეს უკვე ბრძანებაა, მაშინ ამბობს, რომ ეს მინისტრის ან პრეზიდენტის ბრძანებაა, ან პარლამენტის მიერ მიღებული კანონია. ოფიციალური ინფორმაციის მიღების წყაროა ასევე ინტერნეტი, რომელზეც თქვენ ალბათ ხელი მიგიწვდებათ.

გაქვთ თუ არა საშუალება, რომ როცა მოგინდებათ, დაგჭირდებათ სკოლაში დასხდეთ კომპიუტერთან? ეს ოფიციალური მოთხოვნა და მითითებაა, რომ იმ სკოლებში, სადაც




პროგრამით უკვე შეტანილია კომპიუტერები ამის საშუალება შეუფერხებლად უნდა იყოს. თუ კომპიუტერთან ვინმე ზის, იმას ვერ ააყენებთ, მაგრამ თქვენ ყოველთვის უნდა გქონდეთ საშუალება, რომ თქვენთვის საჭირო და საინტერესო ინფორმაცია იქიდან მიიღოთ. უახლოეს მომავალში მუდმივი უფასო ინტერნეტკავშირიც გექნებათ. საერთოდ სწორი ინფორმაციის მიღების ნაღდი საშუალება ოფიციალური ცნობა, ვიდრე ბავშვებს ან უფროსებს შორის გავრცელებული ინფორმაცია. ზოგჯერ ხომ უფროსებსაც სჩვევიათ, რომ ხმებს უფრო დაეყრდნონ, ვიდრე სანდო ინფორმაციას.

დღეს ვცხოვრობთ თავისუფალ ქვეყანაში, სადაც ასევე არსებობს მედიის თავისუფლებაც. ხშირად, შეიძლება ის ბოლომდე პასუხს არ აგებს მის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე, ან შეიძლება მას უნდა სათაურში გამოიტანოს თვალისთვის უფრო მისაზიდი ინფორმაცია.

**ჩვენი სკოლა თუ სარემონტოა, მიწისძვრით დაზიანდა ან საერთოდ კაპიტალური შეკეთება სჭირდება, ვინ უნდა გააკეთოს? ევალება თუ არა ამაზე ზრუნვა მშობლებს?**

ბ.წ.- სკოლების კაპიტალური რემონტი ადგილობრივი მართველობის ან თვითმმართველობის ხარჯებში შედის, ასევე არსებობს სახელმწიფო პროგრამა"იაკობ გოგებაშვილი", რმელიც 2010 წლისთვის ყველა სკოლის გარემონტებას ითვალისწინებს.

მშობლებს ახალი კანონით ევალებთ კიდეც ჩართულები იყვნენ სასკოლო ცხოვრებაში, ვისაც სურვილი და შესაძლებლობა აქვს, სამეურვეო საბჭოშიც ჩაებმება.

ხოლო რაც შეეხება დაზიანებული სკოლების შეკეთებას, ეს ქალაქის მუნიციპალური სამსახურის ვალდებულებაა. მაგრამ მოგეხსენებათ ჩვენთა ჯერჯერობით გასაკეთებელი ბევრად მეტია, ვიდრე სახსრები,ამიტო ეს ერთბაშად ვერ მოხდება, უნდა ვიმუშაოთ და მოკლე დროში ეს პრობლემები გადაიჭრება.

რატომ გახდა

**რატომ არის აუცილებელი ამდენი ცვლილება?**

ბ.წ.-სახელმწიფომ დაინახა, რომ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი აღარ შეესაბამებოდა ცოდნას. მაგ. მუსიკალური სკოლის, შვიდწლედის დოკუმენტი გაქვთ. თქვენი დოკუმენტის შესაბამისად რომ გთხოვოთ დაუკრათ და თქვენ ვერ დაუკრათ -ეს ხომ კარგი არ არის? კარგია, როცა სახელმწიფო დააბალანსებ ამ დოკუმენტის და ცოდნის ადექვატურობას და ძალიან კარგიიქნება, რომ როცა მომავალში მშობელი შეიყვანს შვილს მუსიკალურ სკოლაში, მას ექნება გარანტია, რომ მას დოკუმენტის ადექვატური ცოდნა ექნება, იმდენს შეიძენს, რაც განსაზღვრულია. სინამდვილეში ეს არ არის მარტო მშობლის და ახალგაზრდის პრობლემა, ეს მთელი სახელმწიფოს პრობლემაა . სწორედ ამიტომ, ხდება დღეს სახელმწიფოს დონეზე განათლების რეფორმა. თუნდაც, დღევანდელი დაფინანსებით მსოფლიოს სხვა ქვეყნებს ვერ უტოლდება , მაგრამ სახელმწიფო ხომ გაიღებს თქვენს განათლებაზე მატერიალურ თანხას და მას აქვს უფლება იმ სკოლას და მასწავლებელს მოსთხოვოს, რომ თქვენი ცოდნა შეესაბამებოდეს მათ ანაზღაურებას. ეს ანაზღაურებაც არ არის იმდენი, მაგრამ გარკვეული მოვალეობები ხომ არსებობს? სწორედ ამიტომ პედაგოგის პროფესია გახდება უფრო კონტროლირებადი, თუმცა სახელმწიფო აქამდეც აკონტროლებდა მის ცოდნას და უნარს.

ძალიან მნიშვნელოვანია უფროსებისთვის, გარანტირებულები იყვნენ მათ შვილებთან ვინ იქნება უშუალო შეხებაში, მაგრამ ეს არანაკლებ მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის -რაში ხარჯავს ის თანხას. განათლების დაფინანსება იზრდება, მაგრამ ხარჯვა უნდა იყოს უფრო ეფექტური, ქარჯვა შედეგის ადექვატური უნდა იყოს. ასე, რომ 2008 წლისთვის თქვენს პედაგოგებსაც ისევე მოუწევთ თავიანთი ცოდნისა და უნარის დადასტურება, როგორც თქვენ გიწევთ გამოცდებზე.ასევე ყველა უმაღლეს სასწავლებელს, სკოლას თუ პროფესიულ სასწავლებელს მოუწევს რეჟიმული დადასტურება, რომ ის სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად უფლებამოსილია ასწავლოს.

**მართალია, თუ არა, რომ მუსიკალური განათლების დოკუმენტი დაეხმარება აბიტურიენტს?**

ბ.წ. -თუ თქვენ დაამთავრეთ მუსიკალური სასწავლებელი და აბარებთ ისეთ სასწავლებელში, სადაც ეს ცოდნაა საჭირო, რა თქმა უნდა სასწავლებელს შეუძლია დაუშვას პრივილეგია, მაგრამ ზოგადად ეროვნული გამოცდების კანონისთვის ეს არ არის არანაირი პრივილეგია-ეროვნული გამოცდების პრივილეგია ცოდნაა.

**რა არის პორტფოლიო, ადრე რომ ჟურნალი იყო?**

ბ.წ.- პორტფოლიო არ არის სახელმწიფო დოკუმენტი, ეს რვეულია, რომ სკოლაში მოსამსახურე ადამიანებს დაეხმაროს - მეტი ინფორმაცია დააფიქსირონ, ვიდრე მათ მეხსიერებას შეუძლია შეინახოს.

**რა არის ვაუჩერი?**

ბ.წ.-სკოლები ახლო მომავალში მიიღებენ ვაუჩერებს, რომელიც თქვენთვის ხელშესახები არ არის. ეს არის სახელმწიფოს გადასახადი სკოლებისთვის, იმისთვის, რომ თქვენ ისწავლოთ სკოლაში, რომ პედაგოგები იღებდნენ ხელფასს, სკოლას ხარჯები აქვს... ვაუჩერი არის თანხა, რითაც სახელმწიფო უზრუნველყოფს სკოლაში თქვენს სწავლებას. რომელ სკოლაშიც არ უნდა წახვიდეთ, ის მაინც თქვენი ფულია.

**სასკოლო ფონდის ფული კიდევ იქნება შესაკრები?**

ბ.წ.-ფონდის ფული თავისუფალმა ეკონომიკამ და გამწვავებულმა ეკონომიკურმა პრობლემებმა მოიტანეს. როცა სკოლებმა დაინახეს, რომ მათ არ ყოფნიდათ სახელმწიფოს თანხა, მშობლებს სთხოვეს მათი შვილების განათლების უზრუნველსაყოფად დახმარება - გარკვეული თანხა გაეღოთ. თუ მშობელს ამისი სურვილი და შესაძლებლობა აქვს და "შეეწევა" სკოლში საკუთარი შვილის განათლებას, ეს უკანონო არ არის და თუ მას ავალდებულებენ, ეს უკანონოა. გადამხდელ მშობელს უფლება აქვს, რომ გადაამოწმოს რაში დაიხარჯა ეს თანხა.

**მასწავლებელთან ათასნაირი ურთიერთობა არსებობს, ზოგი გვიყვარს, ზოგი უსამართლოა, ზოგისაც ისე გვეშინია, რომ ვერც ვსწავლობთ, ზოგიც ორიანებით "გვსჯის"...**

ბ.წ.-მასწავლებელმა,უფროსმა უნდა უზრუნველყოს კლასში ნორმალური საკომუნიკაციო გარემო, პრობლემების გადაჭრის გზები მოძებნოს. ასეთ შემთხვევაში მოსწავლე შედარებით დაუცველია, პირველ რიგში ეს სკოლის და მასწავლებლის პრობლემაა. მასწავლებლები, რომლებიც კლასში არაჯანსაღ გარემოს ქმნიან - შიშს, უსამართლო სიმკაცრეს, სცოდავენ ადამიანობის და კანონის წინაშე, პიროვნულად და პროფესიულად.

ორიანი კი იწერება თქვენს ცოდნაში და არა, როგორც ზოგადად უარყოფითი რამ. თქვენ კი უნდა იფიქროთ ამ კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად, ანუ შეიძინოთ ცოდნა, რომელიც მეტ შეფასებას დაიმსახურებს, ანუ შეიძინოთ მეტი ცოდნა.

საერთოდ, ძნელად მისაღწევია ბალანსი. სკოლაში სწავლის დროს ბალანსი მიიღწევა თქვენი ნებით და სკოლის ორგანიზაციით. ყველაფრისადმი გაცნობიერებული მიდგომა მნიშვნელოვანია. საერთოდ, ადამიანი მიდრეკილია, რომ შეიმსუბუქოს არსებობა. თუ თქვენ არ მიეცით მასწავლებელს საშუალება, ბალანსი არ დამყარდება და შედეგიც არ იქნება კარგი.

**რას გვირჩევთ?**

ბ.წ.-სახელმწიფოს აქვს აღებული ვალდებულება, რომ უფასო ზოგადსაგანმანათლებლო განათლება უზრუნველყოს. სახელმწიფო ამბობს, რომ ცხრა კლასის განათლება სავალდებულოა და თქვენი უფასო განათლება თორმეტი წელი უნდა უზრუნველყოს. სკოლა ეს სახელმწიფოა. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ თქვენი განათლება სახელმწიფოსგან უზრუნველყოფილია და კიდევ უფრო მეტად იქნება უზრუნველყოფილი, თუ თქვენ ყველა გარანტია, უფლება და მოვალეობა გეცოდინებათ.სკოლა ვალდებულია, რომ განათლება მოგაწოდოთ.

ჩემი თხოვნაა, რომ განათლების სფეროში გაეცნოთ და დაეყრდნოთ ოფიციალურ და ხელმოწერილ ინფორმაციას.

სკოლაში თქვენ გაქვთ მთავარი უფლება -მოითხოვოთ ცოდნა.

პროგრამა " კანონიერების კულტურა" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით მიმდინარეობს.

დაგვირეკეთ: 20-24-24 ; ელ. ფოსტა: dkuprava@24hours.ge
მოგვწერეთ: თბილისი ვაჟა ფშაველას 45, გაზეთი "24 საათი" - დალი კუპრავა

# დოლიძეების საქმე - სტრასბურგის სასამართლოს პერსპექტივით

*არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, ადვოკატები და, სხვათა შორის, სახელისუფლებო უწყებების პირველი პირებიც მიიჩნევენ, რომ ბოლო პერიოდში უკანონო პატიმრობის შემთხვევებმა საგრძნობლად იმატა. თითქმის ყველა ადვოკატი თუ დამოუკიდებელი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ეს პრობლემა დღეს რეალურად არსებობს და თუ ხელისუფლებამ და სამართალდამცველმა სტრუქტურებმა სამართალწარმოების დამკვიდრებული მეთოდი არ შეცვალეს, შედეგი სავალალო იქნება.*

საქმე, რომლის დეტალებსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, რამდენიმე თვის წინ შეიკრა.

19 აგვისტოს, ბახმაროში გამართული დოღიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 22 აგვისტოს, ოზურგეთში დააკავეს მამა-შვილი შალვა და ლადი დოლიძეები. ჩოხატაურის პოლიციამ საქმე ერთ დღეში "შეკერა", უფრო ზუსტად, 200-გვერდიანი საქმე უკვე შედგენილი იყო, როცა მამა-შვილი დააკავეს და ცეცხლსასროლო იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება გადაზიდვასა და ხულიგნობაში - ქმედებაში, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოების აშკარა უპატივცემულობას, დაადანაშაულეს.

საქმე ის გახლავთ, რომ ჩოხატაურის პოლიციის მტკიცებით, მამა-შვილმა დოღის დასრულების შემდეგ ჰაერში გაისროლეს, რითიც ჩაიდინეს ხულიგნობა და დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი. პოლიციის მიერ მოპოვებული ეს არგუმენტი გახდა საფუძველი იმისა, რომ მამა-შვილი ასე მკაცრად დასაჯეს. როგორც დოლიძეების ადვოკატი ზურაბ ტაბიძე აცხადებს: **"საქმე თავიდან ბოლომდე სიყალბეზეა აგებული. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ პოლიციამ ერთ დღეში შექმნა 200-გვერდიანი საქმე, რაც ფიზიკურად წარმოუდგენელია. გარდა ამისა, საქმე გამყარებულია მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებებით, თუმცა, მოგვიანებით, ექვსიდან სამმა პოლიციელმა შეცვალა ჩვენება და განაცხადეს, რომ მათზე ზეწოლას ჰქონდა ადგილი და ამიტომაც მისცეს დოლიძეების საწინააღმდეგო ჩვენებები. გამოძიებამ არ გაიზიარა სხვა 10 მოწმის ჩვენება, რომლებიც აცხადებენ, რომ მამა-შვილი დოლიძეები პოლიციის მიერ დასახელებული გასროლისას სახლში, ბახმაროში ქეიფობდნენ. ამასვე ადასტურებენ იმ დროს მათთან სტუმრად მყოფი სხვა ადამიანებიც, რომელთა განცხადებითაც, მათ გაიგეს კიდეც გარედან შემოსული სროლის ხმა. მეტიც, არსებობს ვიდეოკასეტაც, რომელზეც იმდღევანდელი ქეიფია აღბეჭდილი და სადაც ნათლად ჩანს ეს ყველაფერი. სხვათა შორის, არც გამოძიებამ და არც სასამართლომ კასეტის ნახვის სურვილი არ გამოთქვა. ჩემს მიერ მოძიებული მოწმეები კი, რომლებიც მამა-შვილის უდანაშაულობას ადასტურებენ, გამოძიებამ არც დაკითხა,"** – აცხადებს ზურაბ ტაბიძე, რომლის თქმითაც, პოლიციამ დოლიძეების პირადი და მანქანის ჩხრეკაც ისე ჩაატარა, რომ კანონსაწინააღმდეგო ვერაფერი ნახა. მისივე თქმით, გაიჩხრიკა დოლიძეების საცხოვრებელი სახლი ვაკიჯვარში და, მართალია, პოლიციამ იარაღს მიაგნო, მაგრამ 16-ვე სახეობის იარაღი დოლიძეებს ოფიციალურად გაფორმებული ჰქონდათ, შენახვა-ტარების უფლებით.

სხვათა შორის, აქვე სათქმელია, რომ ჩხრეკა, ისევე როგორც სხვა საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა ჩამოთვლაც ახლა შორს წაგვიყვანდა, საპროცესო ნორმების უხეში დარღვევითაა ჩატარებული და, რაც ყველაზე მთავარია, როგორც ადვოკატი აცხადებს, პოლიციის მიერ მოპოვებული მასრა, არ დაემთხვა არც ერთი იმ იარაღის ტიპს, რომელიც დოლიძეების მფლობელობაშია და რომელიც პოლიციამ სახლში ნახა. **"შემთხვევის ადგილი დათვალიერებული არაა, ის ქუჩა, რომლის წინაც დიდი ხევი მდებარეობს და რომლის შესახებაც, პოლიცია აცხადებს, რომ გასროლა იმ მიმართულებით მოხდა, დოლიძეების სახლთან საერთოდ არანაირ კავშირში არ არის,"** – აცხადებს ზურაბ ტაბიძე, რომლის თქმითაც, მოსამართლე კოზმავამ ისე შეუფარდა უდანაშაულო მამა-შვილს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა, რომ საქმის არსში არც გარკვეულა, მეტიც, მასრა შემოწმებული არ ყოფილა და ექსპერტიზის პასუხი საქმეში სასამართლო განხილვისას არ არსებობდა.

საინტერესოა კიდევ ერთი მომენტი: **"საქმის რეზონანსულობის გათვალისწინებით საქმე დაექვემდებაროს დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს,"** – საქმეში გენერალური პროკურორის მოადგილის გიორგი ლაცაბიძის ხელმოწერილი ასეთი შინაარსის დოკუმენტი დევს, რაც გაკვირვებას იწვევს. დოკუმენტი დათარიღებულია 22 აგვისტოთი, ანუ მაშინ, როცა დააკავეს მამა-შვილი, როცა ტარდებოდა უამრავი საგამოძიებო მოქმედება, როცა საქმე, ფაქტობრივად, ჯერ არც არსებობდა, გენერალური პროკურორის მოადგილემ მოასწრო, გაეცნო საქმეს და გადაწყვეტილებაც გამოიტანა.

**"მიმაჩნია, რომ გამოძიებამ დაუშვა სიყალბე. იმედი მაქვს, გენერალური პროკურორისთვის ცნობილი გახდება ამ საქმის შესახებ, ის პროფესიონალი იურისტია და დასკვნების გამოტანა არ გაუჭირდება",** – აცხადებს ბრალდებული შალვა დოლიძე და გენერალურ პროკურორს მისი უდანაშაულო შვილის, 22 წლის ლადი დოლიძის გათავისუფლებას თხოვს. შალვა დოლიძე, რომელიც მძიმე ავადმყოფია, მიიჩნევს, რომ თავადაც უდანაშაულოა და აცხადებს, რომ **"ჩოხატაურის პოლიციამ მის წინააღმდეგ შეკვეთა განახორციელა"**. ვისი - ამის შესახებ დოლიძეები ჯერჯერობით არ საუბრობენ – თუმცა, დუმილს დროებით ინარჩუნებენ.

**"საქმე პოლიციის მიერაა მოწყობილი და ხელოვნურადაა შეთხზული. თუ პოლიციამ სროლის ხმა გაიგო, იქ იმყოფებოდა "ომონი", მათ მაშინვე უნდა ჩაეტარებინათ სპეცოპერაცია, მაგრამ ასე არ მოხდა. დანაშაული, რომელიც ობიექტურად არ მომხდარა, ოთხი დღის შემდეგ გაახსენდათ. შალვა დოლიძე ბიზნესმენია, მას შევარდნაძის ხელისუფლების დროს ავიწროვებდნენ და სამწუხაროდ, ასე გაგრძელდა ახლაც. აი, ეს არის მიზეზი მამა-შვილის წინააღმდეგ საქმის "შეკერვისა,"** – აცხადებს ადვოკატი ზურაბ ტაბიძე, რომელიც მიიჩნევს, რომ ქართული მართლმსაჯულებაში სამართლის პოვნა, სამწუხაროდ, ახლა ძალზე ჭირს.

იმ შემთხვევაში თუ ქართულ მართლმსაჯულება სამართლიან გადაწყვეტილებას არ მიიღებს, დოლიძეები სარჩელს სტრასბურგის უმაღლეს სასამართლოში გააგზავნიან და დარწმუნებული არიან, რომ ევროსასამართლოში საქმეს მოიგებენ კიდეც.

# მწყემსი ცოლ-ქმრის განზრახ მკვლელობაში ბრალდებულებს წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ

გარდაბნის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებით, მწყემსი ცოლ-ქმრის განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ ძმებს, ბაფხოშვილებს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეეფარდათ.

გარდაბნის რაიონის სასამართლოს მოსამართლემ ლაზარე ძირკველიშვილმა მკვლელობაში ბრალდებულ გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოს მცხოვრებლებს ზაზა და თამაზ ბაფხოშვილებს წინასწრი სამთვიანი პატიმრობა გუშინწინ, გვიან ღამით შეუფარდა.

როგორც ცნობილია, ძმებ ბაფხოშვილებს ბრალი ედებათ სოფელ იორმუღალოში მცხოვრები მწყემსი ცოლ-ქმრის, ელდაგ მამადოვისა და სადაგარ სულეიმონოვას მკვლელობაში. ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან დაცხრილული მწყემსების ცხედრები გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოში მცხოვრებმა აკაკი ქავთარაძემ 20 ოქტომბერს საკუთარ, თბილისი-მცხეთა-რუსთავის შემოვლით გზაზე მდებარე მეცხოველეობის ფერმაში აღმოაჩინა.

რამდენიმე დღეში სოფელ ნორიოში, საკუთარ სახლში სამართალდამცველებმა იარაღის უკანონოდ შენახვის ბრალდებით დააკავეს ზაზა და თამაზ ბაფხოშვილები. იქვე, ჩხრეკის დროს, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღები ამოიღეს. გარდა ამისა, თამაზ ბაფხოშვილის სახლიდან ამოღებულია პისტოლეტი, რომელიც მას შენახვის უფლებით ჰქონდა გაფორმებული.

უკვე გუშინწინ, სასამართლო პროცეზე, რომელზეც ბაფხოშვილებისთვის აღმკვეთი ღონისძიება უნდა შეეფარდებინათ, პროკურორმა მათი სახლებიდან ამოღებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის ბალისტიკური დასკვნა წარმოადგინა, რომლის მიხედვითაც მწყემსებად მომუშავე აზერბაიჯანელი ეროვნების ცოლ-ქმარი სწორედ ბაფხოშვილების სახლიდან ამოღებული იარაღიდან არიან მოკლულები.

სასამართლო პროცესის პარალელურად, სასამართლოს შენობასთან ბრალდებულების ახლობლებისა და ნორიოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის საპროტესტო აქცია პოლიციის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ მიმდინარეობდა. აქციის მონაწილეთა მტკიცებით, ძმები ბაფხოშვილების სახლში მკვლელობის იარაღი სწორედ სამართალდამცველებმა შეიტანეს. მეტიც, თავად დაკავებულები, მათი ოჯახის წევრები და ადვოკატები, წარდგენილ ბრალდებას აბსრუდულად მიიჩნევენ და დაკავებულთა დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვენ. ბაფხოშვილების დედის განცხადებით, მწყემსი ცოლ-ქმარის მკვლელობაში სწორედ იმ ფერმის მეპატრონეა ეჭვმიტანილი, რომელმაც გარდაცვლილების გვამები იპოვა.

ქვემო ქართლის პოლიციის საგამოძიებო განყოფილების უფროსის კობა კობიაშვილის განცხადებით კი, გამოძიება უკვე მხოლოდ ერთ კონკრეტულ ვერსიაზე მუშაობს. **"თავდაპირველად, მკვლელობის ძირითად ვერსიად საქონლის ქურდობა განიხილებოდა. თუმცა, ახლა სხვა, უფრო სერიოზულ ვერსიასთან გვაქვს საქმე. დანამდვილებით ვერ ვიტყვით, მაგრამ შეიძლება ეს შურისძიებაც იყოს"**, - აღნიშნა კობიაშვილმა.

სამართალდამცველთა ვერსიით, სავარაუდოდ, თავდამსხმელი ერთი არ იყო.

**"მომხდართან დაკავშირებით საქმის კურსშია შს მინისტრი და მისი მოადგილე, რომელიც ადგილზეც იყო ჩამოსული. მათ ამ დანაშაულის გამოძიება კონტროლზე აქვთ აყვანილი"**, - აცხადებს კობიაშვილი

*24 საათი*

# მოსამართლეობის მსურველთა საკვალიფიკაციო გამოცდები ორ ტურად ტარდება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორგანიზებით, შაბათს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ბიბლიოთეკაში მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ტესტირება დაიწყო.

ტესტირებაში მონაწილეობას ღებულობს 1080-მდე იურისტი. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა ორ ეტაპად ტარდება. პირველი ეტაპი ტესტირებას მოიცავს, რის შემდეგაც მათ წერითი გამოცდა ჩაუტარდებათ.

გამოცდები სპეციალიზაციის მიხედვით – სისხლის, სამოქალაქო და საერთო სამართალში ტარდება. მოსამართლეობის მსურველებმა მოცემული 100 შეკითხვიდან სწორი პასუხი მინიმუმ 75-ს უნდა გასცენ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, საკვალიფიკაციო ტესტირების გავლის შემდეგ მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნამდე კანდიდატი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სპეციალურ კომისიასთან გასაუბრებას გაივლის. ტესტირება სამი დღის განმავლობაში გაგრძელდება.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ვალერი ცერცვაძის განცახდებით, საგამოცდო პროცესი კარგად იყო ორგანიზებული. მასში მონაწილეობდნენ როგორც უცხოელი, ასევე ის დამკვირვებლები, რომელთაც სპეციალური ტრენინგი გაიარეს და ერთიან ეროვნულ გამოცდებშიც მიიღეს პრაქტიკა.

როგორც ცნობილია, წელს ივნისში ჩატარებულ გამოცდაში მონაწილე 1100 იურისტიდან წარმატება 177-მა მოიპოვა. მათგან 33 მოსამართლედ უკვე დაინიშნა.

მოსამართლეობის მსურველთა საკვალიფიკაციო გამოცდები, წინა წლებისაგან განსხვავებით, გართულებულია. იგი სპეციალიზაციის მიხედვით ტარდება და წინასწარ არ ქვეყნდება სავარაუდო ტესტები.

*24 საათი*


პროკრედიტ ბანკი ProCredit Bank

პროკრედიტ ბანკის შეტყობინება ობლიგაციების შეძენაზე საჯარო ხელმოწერის გამოცხადების თაობაზე

სს "პროკრედიტ ბანკი" ობლიგაციების განთავსების მიზნით აცხადებს საჯარო ხელმოწერას 2005 წლის 1 ნოემბრის დილის 9 საათიდან 2005 წლის 7 ნოემბრის 5 საათამდე.

გაიყიდება შვიდი მილიონი ლარის ნომინალური ღირებულების ობლიგაციები.

გასაყიდად გამოტანილი ერთი ობლიგაციის შემოსავლიანობა შეადგენს წლიურ 14%-ს, საანგარიშსწორებო ფასი კი არის 877,49 ლარი (რვაას სამოცდაჩვიდმეტი ლარი და 49 თეთრი).

ობლიგაციების დაფარვა განხორციელდება 2006 წლის 6 ნოემბერს.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ პროკრედიტ ბანკს არაუგვიანეს 2005 წლის 7 ნოემბრის 5 საათისა. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება პროკრედიტ ბანკში, ალმაშენებლის 154, ტელ.: 20 22 22 (2230); 20 22 22 (2060).

განთავსების შედეგები ობლიგაციების მყიდველებს ეცნობებათ ხელმოწერის პერიოდის დასრულებიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით.

პროკრედიტ ბანკი
დ. აღმაშენებლის 154
ტელ: 20 22 22

ახალი, ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები პროკრედიტ ბანკში 30 ნოემბრამდე!

პროკრედიტ ბანკი ProCredit Bank

გახსენით ვადიანი ანაბარი პროკრედიტ ბანკში და მიიღეთ ვიზა ჩიპ კლასიკი საჩუქრად!

შემნახველი ანაბარი, ყველაზე ხელმისაწვდომი ანაბარი პროკრედიტ ბანკისგან!

- მიიღეთ ყველაზე მაღალი სარგებელი, ახლა უკვე **6%** წლიური აშშ დოლარში და **8%** ლარში გახსნილ ანაბრებზე
- გაიტანეთ და შემოიტანეთ თანხა ნებისმიერ დროს
- დაიწყეთ შეგროვება 5 ლარიდან

კამპანია 30.11.05 ძალაშია

ვადიანი ანაბარი, ყველაზე მაღალი საპროცენტო სარგებელი!

- მიიღეთ **10%** წლიური დოლარში და **13,5%** ლარში გახსნილ ანაბრებზე
- ვიზა ჩიპ კლასიკი საჩუქრად ანაბრებზე 500 დოლარიდან!

პროკრედიტ ბანკი, ბანკი რომელსაც ენდობიან მსოფლიოს სამ კონტინენტზე



**ტენდერი კომპიუტერული და საოფისე ტექნიკის შესასყიდად პოლიციის აკადემიისათვის**

EuropeAid/122280/L/S/GE

TACIS-ის პროგრამის ფინანსური დახმარების ფარგლებში ევროკომისიას დაგეგმილი აქვს კონტრაქტის გაფორმება კომპიუტერული და საოფისე ტექნიკის (კომპიუტერები, პრინტერები, კამერები, ასლების გადამღები აპარატები) შესასყიდად. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე:

ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში.
ნინო ჩხეიძის ქ. N 38, თბილისი 0102 (სამუშაო საათები ადგილობრივი დროით 9:00-17:00 სთ., ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით)

ელ.ფოსტის მისამართი: Delegation-Georgia@cec.eu.int
სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადაა, 2005 წლის 30 ნოემბერი, 10:00 სთ თბილისის დროით.



კორძაძის საადვოკატო ბიურო

**აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანსიებზე:**
**კორპორაციული კლიენტების განყოფილების იურისტი**
**- სამოქალაქო, სამეწარმეო და ადმინისტრაციული სამართლის ადვოკატი**

კანდიდატებს მოეთხოვებათ:

**კორპორაციული კლიენტების განყოფილების იურისტი**

უმაღლესი იურიდიული განათლება
- იურისტად მუშაობის მინიმუმ 2 წლის სტაჟი
ადვოკატთა ტესტირების სერთიფიკატი (სასურველია)
- რუსული, ინგლისური ან გერმანული ენის საფუძვლიანი ცოდნა

**სამოქალაქო, სამეწარმეო და ადმინისტრაციული სამართლის ადვოკატი**

უმაღლესი იურიდიული განათლება
- ადვოკატად მუშაობის გამოცდილება
ადვოკატთა ტესტირების სერთიფიკატი (სასურველია)
- რუსული, ინგლისური ან გერმანული ენის ცოდნა

მსურველებმა თავიანთი ავტობიოგრაფია (CV), განცხადება (სასურველი პოზიციისა და საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით) და ფოტოსურათი უნდა გამოაგზავნონ ელექტრონულ მისამართზე - lp@kordzadzelawoffice.ge ან წარმოადგინონ კორძაძის საადვოკატო ბიუროში - მისამართი: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის ქ. N46

*განცხადების მიღება წარმოებს 2005 წლის 15 ნოემბრამდე (10.00-18.00 საათებში შაბათ-კვირის გარდა)*

დოკუმენტების განხილვის შედეგად შერჩეული კანდიდატებს *ჩაუტარდებათ გასაუბრება.*

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 98 65 45; 98 65 68**

# განჩინება

თერჯოლის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ელენე ოსაძემ ერთპიროვნულად, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, განვიხილე კრედიტორთა შესამოწმებელი კრების ჩატარების საკითხი

დავადგინე:

1. მოწვეულ იქნას კრედიტორთა დაგვიანებით გამოცხადებული მოთხოვნის შესამოწმებელი დამატებითი სხდომა 2005 წლის 10,11, 14, 15 ნოემბერს 11 საათზე თერჯოლის რაიონულ სასამართლოში, მისამართი ქ. თერჯოლა, ლეონიძის ქ.№2.
2. ვალაუვალი მოვალის შ.პ.ს. "ოქროს საწმისი" - ს და " ქართული ბიზნესის განვითარების საერთაშორისო ფონდის: კრედიტორები, რომელთა მოთხოვნები არ შემოწმებულა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მიერ, ვალდებული არიან წარმოადგინონ სხდომაზე თავიანთი მოთხოვნების ოდენობისა და ვალის საფუძვლის დამადასტურებელი დოკუმენტების დედნები მათი მოთხოვნების შემოწმების მიზნით.
3. მოწვეულ იქნას კრედიტორთა კრება "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლში გათვალისწინებულ საკითხთა დასადგენად. 2005 წლის 25 ნოემბერს 12 საათზე ქ.ქუთაისი, წმინდა ნინოს ქუჩა №17 (ოპერისა და ბალეტის თეატრი).
4. განჩინება გამოქვეყნდეს ადგილობრივ და ცენტრალურ საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით, გამოქვეყნების ხარჯები ანაზრაურებულ იქნას გაკოტრების მასიდან.
5. განჩინება ცალკე არ გასაჩივრდება.

*მოსამართლე: ელენე ოსაძე*

ფეხბურთი

# დაუმარცხებელი არავინ დარჩა

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მე-11 ტური მრავალი ნიშნით იყო გამორჩეული და საინტერესო. ჯერ ერთი, სწორედ ამ ტურში იგემა პირველად დამარცხების სიმწარე თბილისის "ლოკომოტივმა". ამ ტურშივე ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ 25-25 ქულით სატურნირო ცხრილის პირველ-მეორე საფეხურზე მოყოფი გუნდები, "ვიტ ჯორჯია" და "სიონი". ამ შეხვედრამ, რომელიც ძალზე დაძაბულ, უშეღავათო ბრძოლაში, ჰოლივუდის მძაფრსიუჟეტიანი ფილმის სცენარით წარიმართა, ნამდვილად არ გააწბილა გულშემატკივართა მოლოდინი. თუ არ ჩავთვლით "ბორჯომი" - "სპარტაკის" მატჩს, რომლის დროსაც გოლების წვიმა მხოლოდ ერთი გუნდის კარში აღინიშნა, მე-11 ტურის გუშინდელმა შეხვედრებმა უშეღავათო ბრძოლებში ჩაიარა.



"დინამო" ლიდერებს მიუახლოვდა.

გოჩიტა ბახაიძის ფოტო

ცენტრალური, რაღა თქმა უნდა, მცხეთაში, "არმაზის" სტადიონზე გამართული მატჩი იყო "ვიტ ჯორჯიასა" და ბოლნისის "სიონს" შორის და ჩვენს მიმოხილვასაც სწორედ ამ შეხვედრით დავიწყებ. თამაშში, რომლის პირველი ტაიმი უკომპრომისო, თუმცა უგოლო ფრით დასრულდა, ძირითადი მოვლენები მეორე 45 წუთში განვითარდა. შეხვედრის მეორე ნახევრის სტარტი მასპინძლებს კარგს არაფერს უქადდა: 52-ე წუთზე არბიტრმა კვარაცხელიამ მათ კარში თერთმეტმეტრიანი დარტყმაც დანიშნა და მოედნიდან დათუნაიშვილიც გააძევა. ქ. თბილისის დინამოელმა ჯაბა დვალმა ზუსტად შეასრულა სტანდარტი და სტუმრები დააწინაურა. ერთი შეხედვით, კაცნაკლულ "ვიტ ჯორჯიას", ფეხბურთისათვის არც თუ სათანადო კლიმატურ პირობებში (მთელი მატჩის განმავლობაში გადაუღებლად წვიმდა), ატალახებულ მოედანზე, სადაც გადაადგილებაც კი ჭირდა, თამაშის ფრედ დასრულებაზეც კი მხოლოდ ოცნება თუ შეეძლო. მაგრამ გამარჯვებისაკენ სწრაფვამ და სპორტულმა ჟინმა, რაც ამ თვითმყოფადი გუნდის გამორჩეული დამახასიათებელი თვისებებია (ეროვნულ სარბიელზე მაინც), თავისი გააკეთა. ვიტელები თანდათან დაეუფლნენ ინიციატივას და ბოლნისურ კლუბს კოშმარული ბოლო თხუთმეტი წუთი მოუწყვეს. ჯერ ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში დაწინაურებულმა და ეროვნულ ნაკრებში გამოძახებულმა ოთარ მარცვალაძემ ლამაზი საჯარიმო დარტყმით გაქვითა ანგარიში (77`), დარჩენილ დროში კი "სიონი" მოედნის საკუთარი ნახევრიდან ბურთის გამოტანასაც თითქმის ვერ ახერხებდა. მის კარზე შეტევას შეტევა მოსდევდა და მასპინძელთა ასეთმა თავგამოდებულმა მონდომებამ ბოლო წუთზე გამოიღო შედეგი: გელაშვილმა საფინალო სასტვენამდე 1 წუთით ადრე შეძლო მასპინძელთათვის 3 ქულის მომტანი გოლის გატანა. ამ წარმატების წყალობით, "ვიტ ჯორჯია" ერთპიროვნულად გალიდერდა და უახლოესი მდევარი 3 ქულით ჩამოიტოვა.

ტურის მეორე, ბევრი საფეხბურთო მიმომხილველის აზრით კი პირველი ცენტრალური შეხვედრა თბილისში, ეროვნულ სტადიონზე გაიმართა, სადაც დედაქალაქურ და ტრადიციულ "დერბიში" "დინამომ" "ლოკომოტივს" უმასპინძლა. როგორც უკვე აღვნიშნე, ამ შეხვედრამდე "ლოკომოტივის" წაგებათა გრაფაში თავს იწონებდა ციფრი ნოლი, რაც დამატებით სტიმულს აძლევდა როგორც თავად "ლოკომოტივს", ისე კრიზისიდან უკვე გამოსულ, თუმცა, სატურნირო თვალსაზრისით, ჯერ კიდევ მდევრის როლში მყოფ "დინამოს" ფეხბურთელებს.

"ლოკომოტივის" დაცვა ევროვნულ ჩემპიონატში მართლაც საუკეთესოა: ამ გუნდს 10 თამაშში სულ ორი გოლი ჰქონდა გაშვებული. მით უმეტეს მოულოდნელი იყო ის ჩავარდნა, რაც რკინიგზელთა დაცვის ხაზს პირველსავე წუთზე მოუვიდა და რაც დაკარგულ სამ ქულად დაუჯდა. გიორგი ონიანმა თავისსავე საჯარიმო მოედნის სიახლოვეს დაკარგა ბურთი, რომელიც სანდრო იაშვილს მიუვიდა. იაშვილი სწრაფად დაიძრა ჭანტურიას კარის მიმართულებით, საჯარიმოშიც შეაღწია და ის იყო უნდა დაერტყა კიდეც, რომ მახვილაძემ აკრძალული ილეთით შეაჩერა. მსაჯმა, ალექსანდრ მეშკოვმა სამართლიანად დანიშნა თერთმეტმეტრიანი. პენალტის ნიშნულთან მივიდა ნოზაძე, რომლის დარტყმულიც ჭანტურიამ კი მოიგერია, მაგრამ დამატებაზე ყველას იაშვილმა დაასწრო და ანგარიშიც გაიხსნა. უნდა ითქვას, რომ ეს გოლი იაშვილმა ლოკომოტიველ მცველებთან ძალისმიერ ჭიდილში, ვარდნაში დარტყმით გაიტანა, ლოკომოტიველებმა ჩათვალეს, რომ ამ დროს "დინამოს" თავდამსხმელი წესს არღვევდა, რის გამოც, მეშკოვს მიცვივდნენ და საქმის გარჩევა დაუწყეს. როგორც ჩანს, ამ კამათის დროს თავი ვერ მოთოკა როინ ონიანმა და რეფერის შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამოც, მეშკოვმა მას წითელი ბარათი აუფრიალა და მოედნიდან გააძევა. შედეგად, "ლოკომოტივი" პირველსავე წუთზე ათი კაცის შემადგენლობით დარჩა, რამაც დაღი დაასვა ამ გუნდის თამაშს. პრინციპში, "დინამოს" პირველივე ტაიმში კიდევ რამდენჯერმე შეეძლო გოლის გატანა, რითაც შეხვედრაში გამარჯვებულის თაობაზე ყველა კითხვის ნიშანს მოხსნიდა. მაგრამ, ხან დინამოელთა დაუდევრობის, ხანაც ჭანტურიას ბრწყინვალე თამაშის გამო, ტაიმი მასპინძლებმა მინიმალური სხვაობით მოიგეს. (აღსანიშნავია, რომ პირველი ტაიმის შუაწელში მძიმე ტრავმა (კუნთი გაიწყვიტა) მიიღო "დინამოს" შეტევების ლიდერმა, გოლის ავტორმა იაშვილმა და როგორც მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მთავარმა მწვრთნელმა, კახა ცხადაძემ აღნიშნა, მას, სულ მცირე, პირველი წრის დარჩენილი შეხვედრების გამოტოვება მოუწევს.) ამის გამო, კინაღამ დაისაჯნენ კიდეც. შეხვედრის მეორე ნახევარში "ლოკომოტივმა" მთელი ძალები მოიკრიბა და გრიშიკაშვილის კარის შტურმზე გადავიდა. სტუმრებს, სულ მცირე, ორ ეპიზოდში შეეძლოთ საპასუხო გოლის გატანა, მაგრამ ამ დღეს ფორტუნა აშკარად მათ მხარეს არ იყო. თავის მხრივ, არც "დინამო" იყო უსაქმოდ. ცხადაძის გუნდმა რამდენიმე სახიფათო კონტრიერიში განახორციელა, მაგრამ თამაშში მეტი გოლი აღარ გასულა. "დინამომ" უმძიმეს ბრძოლაში აგემა პირველი დამარცხება "ლოკომოტივს" და, შედეგად, სატურნირო ცხრილში დაწინაურებულ გუნდებს მჭიდროდ მიუახლოვდა.

**მე-11 ტური**

| | |
|---|---|
| დინამო (სხ) - ამერი | 0:3 |
| კახეთი - კოლხეთი | 3:2 |
| ზესტაფონი - დილა | 2:0 |
| დინამო (თბ) ლოკომოტივი | 1:0 |
| ცხინვალი - ტორპედო | 0:0 |
| ბორჯომი - სპარტაკი | 5:0 |
| ვიტ ჯორჯია - სიონი | 2:1 |

დღეს გაიმართება ტურის ბოლო შეხვედრა: თბილისი - დინამო (ბთ)

11 ტურის შემდეგ ვიტ ჯორჯიას 28 ქულა აქვს, შემდეგ მოდიან: სიონი - 25, ბორჯომი - 24, ლოკომოტივი - 24, დინამო (თბ) - 22, ამერი -22, ზესტაფონი - 17, დინამო (ბთ) - 16, დილა - 15, კოლხეთი - 15, კახეთი - 15, ცხინვალი - 10, ტორპედო - 9, დინამო (სხ) - 7, სპარტაკი - 4, თბილისი - 0.

# საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადება

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) იწყებს ახალ პროექტს, რომლის მიზანია საარჩევნო უბნების ოპტიმიზაცია და საზღვრების დადგენა.

ყველა დაინტერესებულ პირს გთხოვთ, თქვენი პირველადი განაცხადი, წინადადება და მოსაზრება 2005 წლის 15 ნოემბრამდე მოგვაწოდოთ ცესკოში შემდეგ მისამართზე: რუსთაველის გამზირი 29, თბილისი 0104, ტელ.: 98 70 14, ელ-ფოსტა: cec@cec.gov.ge




# საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადება

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) იწყებს ახალ პროექტს, რომლის მიზანია ამომრჩეველთა სიების ფორმირებისათვის კომპიუტერული პროგრამის შექმნა.

ყველა დაინტერესებულ პირს გთხოვთ, თქვენი პირველადი განაცხადი, წინადადება და მოსაზრება 2005 წლის 15 ნოემბრამდე მოგვაწოდოთ ცესკოში შემდეგ მისამართზე: რუსთაველის გამზირი 29, თბილისი 0104, ტელ.: 98 70 14, ელ-ფოსტა: cec@cec.gov.ge

# საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადება ღია ტენდერის ჩატარების თაობაზე

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია აცხადებს ღია ტენდერს შემდეგი სახის საოფისე ტექნიკის სახელმწიფო შესყიდვაზე:

**ლოტი N1**
**- კომპიუტერი - 75 ცალი,**
**პორტატული კომპიუტერი - 10 ცალი,**
**- უწყვეტი კვების წყარო - 85 ცალი,**
**ლაზერული პრინტერი - 75 ცალი,**
**- სვიჩი - 5 ცალი**

**ლოტი N2**
**- ფაქსის აპარატი - 30 ცალი,**

**ლოტი N3**
**- ქსეროქსი - 6 ცალი,**

შესყიდვის ობიექტების შესახებ დეტალური ინფორმაცია მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები (საკვალიფიკაციო მონაცემების პაკეტი) უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე ა/წ 15 ნოემბრის 11 საათიდან - 17 ნოემბერის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ინგოროყვას ქ.N7, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საფინანსო სამსახური.

საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას:

*იურიდიული პირისათვის:*

1. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
2. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება.
3. ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
4. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ არიან მსჯავრდებულნი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
5. ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ;

შენიშვნა: ღია ტენდერში მონაწილეობის მსურველმა უცხო ქვეყნის იურიდიულმა პირმა პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მონაცემების დასადასტურებლად უნდა წარმოადგინონ შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული, კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ცნობები.

*ფიზიკური პირისათვის:*

1. ცნობა, შესაბამისი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის თაობაზე;
2. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

ფიზიკური და იურიდიული პირების სატენდერო განაცხადში მითითებული უნდა იყოს აგრეთვე ღია ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის სახელი (სახელწოდება), მისამართი (იურიდიული მისამართი), ტელეფონის და ფაქსის ნომრები, საბანკო რეკვიზიტები, საწარმოს ხელმძღვანელის სახელი და გვარი.

საკვალიფიკაციო მონაცემების მიღებისათვის დადგენილი ვადის (17 ნოემბრის 17 საათი) გასვლის შემდეგ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების პაკეტი არ განიხილება და უბრუნდება წარმომდგენ პირს.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით. თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირი დისკვალიფიცირებულ იქნება;

პრეტენდენტთა შერჩევის მიზნით, საკვალიფიკაციო მონაცემების განხილვა შედგება 2005 წლის 18 ნოემბრის 16 საათზე. სატენდერო კომისიის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს შერჩევის შედეგი ეცნობებათ წერილობით.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგად დამტკიცებულ პრეტენდენტებს 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (რეკვიზიტები: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საქართველოს ეროვნული ბანკი, ა/ა 000141408, კოდი 220101107) შეეძლებათ არა უგვიანეს 2005 წლის 24 ნოემბრის 17 საათისა შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ინგოროყვას ქ.N7, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საფინანსო სამსახური.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

ტენდერის დროს შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ სატენდერო კომისიის აპარატის წარმომადგენელს შორენა მამუკაშვილს, მისამართზე ქ.თბილისი, ინგოროყვას ქ.N7, ტელეფონი 93-47-39, 99-89-77.

**საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის**
**სატენდერო კომისია**

# დებატები, როგორც სასიყვარულო აქტი

## ორი თოქ-შოუ ორ ტელეარხზე - "თავისუფალი თემა" და "რეაქცია"

ნინია კაკაბაძე

**პოსტ "ვარდები".** რატომ იყო რევოლუციამდელი ბავშვი პოლიტიკურად უფრო განვითარებული? იმიტომ, რომ რევოლუციამდე იქმნებოდა იმის ილუზია, რომ მედია მეტად თავისუფალია - იყო ბევრი თოქ-შოუ და იყო ბევრი საინფორმაციო გადაცემა. ინტერესი, მედიის და კონკრეტულად ტელევიზიის მიმართ არ შემცირებულა, მაგრამ შემცირდა ნდობა. ყველაზე დიდ ინტერესს დებატები იწვევს (ამ შემთხვევაში არ ვსაუბრობთ გადაცემა "დებატებზე"). ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ კამათი ამა თუ იმ საკითხზე ცოცხალ ეთერში მიდის და ხელისუფლების წარმომადგენლებს, თუ გნებავთ, მედიის წარმომადგენლებს ნაკლებად აქვთ ინფორმაციით მანიპულირების საშუალება. რესპონდენტის სიტყვას ვერ ვამონტაჟებთ, ვერ ვუყენებთ ჩვენთვის სასურველ ფონს, რომელიც მასზე წარმოდგენას, გნებავთ, დადებითად, გნებავთ, უარყოფითად გვიქმნის, ვერ ვაჩვენებთ იმ დეტალებს, რომელიც მის სხვადასხვა მისაღებ ან კი მიუღებელ ინტერესებზე მიგვანიშნებს და ა.შ. ერთი სიტყვით, თუკი რევოლუციამდე ერთნაირად საინტერესო იყო საინფორმაციო გამოშვებაც და თოქ-შოუც, დღეს ცოცხალი ეთერით მაყურებლის გაცილებით დიდი პროცენტი ინტერესდება. იმისათვის, რომ პირდაპირ ეთერში მიმდინარე კამათი, ასე ვთქვათ, ნაკლებად ეფექტური იყოს, ხელისუფლებაც და მედიის წარმომაგდენლებიც სხვადასხვა ხერხებს იგონებენ. მაგრამ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ პერიოდში ცხარე კრიტიკის პირობებში მედიამ დაიწყო გამოსავლის ძიება და ამის მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს. ამაზე მოგვიანებით, ახლა კი თანმიმდევრულად ქართული თოქ-შოუები ქართულ ტელეეთერში.

**სიახლე.** რევოლუციიის შემდეგ არსებობდა ერთი შოუ "რეაქცია", სადაც მრავალი სტუმარი მონაწილეობდა და რომელიც თითქმის ყოველთვის ქმნიდა მეტნაკლებად საინტერესო სანახაობას. უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე მას სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა, ახალი თოქ-შოუ "რუსთავი 2-ზე" "თავისუფალი თემა". ვიდრე მასზე მსჯელობას დავიწყებდე, აქვე აღვნიშნავ, რომ ახალი თოქ-შოუს არსებობა, ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური მოვლენაა და საბოლოო ჯამში, მისგან მხოლოდ დადებით შედეგს უნდა ველოდოთ.

"თავისუფალი თემა" ერთი დღით უსწრებს "რეაქციას", რადგან ფორმატი პრაქტიკულად მსგავსია, ეკა ხოფერიას შოუ გრიგოლიას ართმევს კვირის მთავარ თემას და ამასთანავე სტუმრებს. აქედან გამომდინარე ინგა გრიგოლიას უკეთეს შემთხვევაში ახალი თემის ძიება უწევს და უარეს შემთხვევაში თემის გამეორება. ჩვენთვის, როგორც მაყურებლისთვის, რასაკვირველია, ეს სრულიად ჯანმრთელი კონკურენციის პირობაა. ცხადია, არავის მოუნდება ახალი გადაცემა ყველაზე რეიტინგული გადაცემის შემდეგ დღეს მოათავსოს სატელევიზიო ბადეში, ამ შემთხვევაში მისი წარუმატებლობის შანსი ბევრად დიდი იქნებოდა. დღევანდელი მდგომარეობა კი გაცილებით საინტერესო კონკურენტულ სურათს ქმნის, და როგორია მათი კონკურენციის პირობა?

**მაგალითად.** ორი კვირის წინ ყველაზე აქტუალური თემა საგარეო მინისტრის, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი იყო. რასაკვრიველია ეს არც რიგითი, უფერული მინისტრი გახლდათ და არც მისი გათავისუფლება მოხდა ჩვეულ სტილში, ამიტომაც კვირის ამ თემამ სხვა ყველა მეტად თუ ნაკლებად საინტერესო საკითხი დაჩრდილა. "რუსთავი 2"-ის ახალი თოქ-შოუს ავტორს გაუმართლა და პირველი გადაცემისათვის განსაკუთრებულად მწვავე თემა შეხვდა. ასეც მოხდა, ეკა ხოფერიას პირველი გადაცემა აშკარად საინტერესო სანახავი გამოდგა. რა ხდება მეორე დღეს "იმედის" ეთერში? ინგა გრიგოლია აქტუალურობით, რიგით მეორე თემას ირჩევს და მეცნიერებათა აკადემიის საკითხს განიხილავს. "ბრძოლის" ამ ფორმამ არ გაამართლა. რას გულისხმობს გამართლება? გადაცემის წარმატებულობა ჩვენში იმით ხასიათდება, რომ მომდევნო დღეებში ქუჩაში, ტრანსპორტში თუ სამზარეულოში უნდა გრძელდებოდეს გადაცემის სტუმართა გამოსვლების კომენტირება. თუკი ასეთი საუბრები არ იყო, რა ხდება მომდევნო კვირას? შემდეგი კვირის თემა, თავისთავად ნაკლებად მძაფრია, მაგრამ საზოგადოებაში აქტუალურობას არ კარგავს და ამიტომ ხუთშაბათს და პარასკევს ჩვენ ტელეეკრანთან ერთსა და იმავე საკითხზე, სხვადასხვა სტუმრებთან ერთად ვმსჯელობთ. ვიდრე გასული კვირის თოქ-შოუებზე ვისაუბრებდეთ, ორი სიტყვით, მოსალოდნელი თუ უკვე არსებული საშიშორების შესახებ.






**საშიშროება.** რა საშიშროების წინაშე დგას ინგა გრიგოლია და მისი გადაცემა "რეაქცია"? მას შემდეგ რაც ზემოხსენებულმა შოუმ კრიტიკული ნიშა დაიკავა, ძლიერებმა ამა ქვეყნისა პატარა გამოსავალი იპოვეს. თუკი ხელისუფლება, ისე აქტიურად ველარ ახერხებდა "რეაქციაში" მოწვეული სტუმრების სიის გაკონტროლებას (რასაკვირველია, საუბარია საპირისპირო მხარეზე, იქნებიან ეს პოლიტიკოსები თუ საზოგადოების წარმომადგენლები), მათ საკუთარი წარმომადგენლების გაკონტროლება დაიწყეს. ისინი ან უარს აცხადებენ გადაცემაში მონაწილეობაზე ან კი შედარებით ნეიტრალურ წარმომადგენლებს აგზავნიან. რას იგებს ამით ხელისუფლება? ის ამაყად აცხადებს: - რა იქნება ნათქვამი ამგვარ მარგინალურ გადაცემაში, სადაც ერთი მხარე ყვირის; ეს მისთვის საინტერესო არ არის. ან კი მეორე დღეს, ძირითადად როგორც პრეზიდენტი და მისი მიმდევრები აკეთებენ, მეორე მხარის წარმომადგენლების გარეშე, სადაც მათ ხელშია მიკროფონი, როგორც ბურთი და ბრიფინგი, როგორც მოედანი, საბოლოო სიტყვას ანუ პასუხს სცემენ მათ. ეს, რასაკვირველია, უფრო მარტივი და მომგებიანი გზაა, საკადრისი პასუხი გავცეთ მეტოქეს. მაყურებლისთვის, მეტად საინტერესოა, როდესაც კამათი თანასწორუფლებიან და თანასწორი პასუხისმგებლობის რეჟიმში მიდის. ასეთ პირობებში აშკარად მეტია შანსი - გააკეთო საკუთარი დასკვნები. მაგრამ...

დავუბრუნდეთ გასულ კვირას. კვირის თემა დავით ალმაშენებლის ქანდაკების ახალი ადგილმდებარეობაა. საზოგადოების აზრი ორად არის გაყოფილი. "რუსთავი 2", სადაც ჯერ კიდევ მეტად იგრძნობა სახელისუფლებო კონტროლის ნიშნები, გარკვეული პრივილეგიებითაც სარგებლობს. უშუალოდ ის პირები, ვინც ალმაშენებლის თემის მაპროვოცირებელნი გახლდნენ ან უბრალოდ, მათი კომენტარი განსაკუთრებულად საინტერესოა, ისინი სწორედ ეკა ხოფერიას გადაცემაში ჩანან. ქალაქის მერი, კულტურის მინისტრი, სამხატვრო აკადემიის რექტორი. მაშინ, როდესაც სამი წამყვანი ფიგურა ხუთშაბათის დებატებში მონაწილეობს, ვინ რჩება ინგა გრიგოლიას? უფერული გიგი წერეთელი და აგრესიული მამუკა ხერხეულიძე. წერეთელი, რომელიც ცდილობს თავისი მშვიდი ტონით ლმობიერი და ნეიტრალური ხელისუფლების სახე შექმნას და ბოკერიას დასახიჩრებული ვარიანტი, ნაკლებად დამაჯერებელი და მთავრობის შტატგარეშე თანამშრომელი ხერხეულიძე. მიუხედავად იმისა, რომ სტუმართა შემადგენლობა "თავისუფალ თემაში" გაცილებით კარგი იყო, ნაკლებად საინტერესო სანახაობა არც "რეაქციამ" შემოგვთავაზა.

**წამყვანი.** წამყვანი ქმნის თოქ-შოუს სანახაობრივ მხარეს, არჩევს სტუმრებს და აქვს საუბრის მანიპულირების საშუალება. პირველი - ეკა ხოფერიას, ამ ეტაპზე მხოლოდ ორი გადაცემის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტუმართა შემადგენლობა გაცილებით საინტერესო იყო და ეს არა მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლებზე ვრცელდება. როგორც გასულ, ასევე უკანასკნელ გადაცემაში ორივე პოზიციას თანასწორი მხარეები წარმოადგენდნენ. რასაკვირველია, გაცილებით საინტერესოა გიგა ბოკერიას და ლევან ბეძენიშვილის, ან რატი ამაღლობელის და გია ბუღაძის დებატების მოსმენა, ვიდრე მამუკა ხერხეულიძის და ლაშა თაბუკაშვილის ან გიგი წერეთლის და მერაბ კოკოჩაშვილის. სტუმარს ასეთ შემთხვევაში ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მათ შერჩევას განსაკუთრებული ყურადღებით მოპყრობა სჭირდება. მეორე - იმ პირობებში, როდესაც ჩვენ ახლა ვსწავლობთ, როგორც კრიტიკის ადექვატურად აღქმას, ასევე კამათს, დღევანდელი დებატები ძირითადად ღრეობის სახეს ატარებს. "ტრადიციონალისტი" ქართველებისათვის ერთ, კარგ და ნათელ მაგალითს მოვიყვან. თოქ-შოუს წამყვანი თამადასავით არის, თუკი სუფრას კარგი თამადა ჰყავს, ის ახერხებს არაფხიზელი სტუმრების მართვასაც კი, თუკი თამადა ცუდია, მაშინ ჩვეულ ღრეობას ვიღებთ. ასეა, თოქ-შოუც. წამყვანს შეუძლია გახსნას, დახუროს, განაზოგადოს, პარალელი გაავლოს, განსხვავებულ პლასტში წარმოგვიდგინოს თემა და ამით გადაცემის წარმატებულობა განსაზღვროს. აუდიტორიას, რამდენად ეკლექტურიც არ უნდა იყოს ის, ინგა გრიგოლია უკეთესად ფლობს. თუკი ეკა ხოფერია ერთად აყვირებულ სტუმრებს სიტყვებით - "ერთი წუთით, ერთი წუთით, ერთი წუთით" აჩერებს, გრიგოლია მათ დაშოშმინებას საკუთარი მონოლოგით, ანუ კონკრეტული ტექსტით ახერხებს. აქედან გამომდინარე, "რეაქციის" წამყვანი არ ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს მისი ფუნქცია მხოლოდ წინასწარ მომზადებული კითხვების დასმა და სტუმრების გაჩუმებაა. ეს უკანასკნელი არა მხოლოდ აუდიტორიის მანიპულირებაში გამოიხატება. არსებობს კიდევ ერთი სხვაობა, ორ პოპულარულ თოქ-შოუს წამყვანს შორის. ინგა გრიგოლიას პოზიცია, ყოველთვის ხილულია, ის არასდროს მალავს საკუთარ დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხის მიმართ. ხოფერია, უფრო ობიექტური წამყვანის ნიშას არჩევს და მისი პოზიციის ამოცნობა არა თუ კომენტარებში, არამედ ინტონაციაშიც კი რთულია. მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა, რომელსაც ჩვენ მომავალ წერილში კიდევ ერთი გადაცემის განხილვისას შევეხებით. უნდა გამოირჩეოდეს თუ არა თოქ-შოუს წამყვანი ინდივიდუალობით, თუ მხოლოდ მედიატორის ფუნქციას უნდა ასრულებდეს?

დაბოლოს, კიდევ ერთი ანუ მესამე. თემის აქტუალურობიდან გამომდიანრე, რიგ შემთხვევაში შესაძლებელია და აუცილებელიც არის მისი განზოგადება. მაგალითად, ისევ გასული კვირის მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ გაცილებით საინტერესო მოსასმენი იქნებოდა ზემოთ აღნიშნული ორივე თოქ-შოუ, თუკი ორივე შემთხვევაში, ორი საათის განმავლობაში არა მხოლოდ იმაზე იქნებოდა საუბარი - კარგია თუ ცუდია, როგორც ხელოვნების ნიმუში, დავით ალმაშენებლის ქანდაკება და უნდა გადავიდეს თუ არა ის სხვა ტერიტორიაზე. გაცილებით საინტერესო იქნებოდა წამოწყებული საუბარი, რომელსაც ორივე გადაცემაში ჰქონდა ადგილი, უფრო განვითარებულიყო; ერთპიროვნული გადაწყვეტილებები ქვეყანაში, ახალი სიმბოლოების ჩანაცვლება, ძველი კომუნისტური სანახაობრივი ტაქტიკის გამოყენება, პროფესიონალიზმის სრული უგულებელყოფა მსგავსი გადაწყვეტილების მიღებისას, ქალაქის მომავალი ურბანული განვითარების საკითხი, რაც მთავარია, ახალი თავისუფლების მონუმენტი თავისუფლების მოედანზე და ა.შ. და ა.შ.

**შედეგი.** ჩვენ, როგორც მაყურებლები, უკვე მივეჩვიეთ, რომ ამგვარი სჯა-ბაასის თუ კამათის შემდეგ უნდა გამოვლინდეს გამარჯვებული და დამარცხებული. ოპოზიციამ მოიგო, უმრავლესობა დამარცხდა ან პირიქით. ასეთია რეალური შედეგი ყოველი გადაცემის შემდეგ. ამას ინტერაქტიური გამოკითხვაც უწყობს ხელს, - ვის სასარგებლოდ შემოვიდა მეტი ზარი. თუკი კამათი თანასწორუფლებიან რეჟიმში მიმდინარეობს, ამგვარი თამაშის ყურება, სადაც დამაჯერებელი არგუმენტების საფუძველზე ვლინდება გამარჯვებული და დამარცხებული, სავსებით მისაღებია, მაგრამ არ შეიძლება ასეთი დებატების შედეგი მხოლოდ გამარჯვებულის გამოვლენა იყოს. საჭიროა თემა, რომელიც რიგ შემთხვევაში ნაკლებად მნიშვნელოვანია და რიგ შემთხვევაში ქვეყნის მომავალ არსებობას განსაზღვრავს, გვაძლევდეს იმაზე მეტ ინფორმაციას, ვიდრე გადაცემამდე გვქონდა. "კამათი სასიყვარულო აქტივით არის, რომლის შედეგადაც უნდა გაჩნდეს ბავშვი, როგორც ახალი იდეა, ახალი მოსაზრება, ახალი გამოსავალი". შესაბამისად თუკი დებატები სიტყვა კამათის ერთგვარი სინონიმია, მაშინ ყოველი ასეთი თოქ-შოუ უნდა იყოს მცდელობა იმისა, რომ გაჩნდეს ახალი სიცოცხლე - ახალი სინამდვილის თუ სიმართლის სახით, რაც, სამწუხაროდ, მოცემულ რეალობაში არ არსებობს.

# ჯი-ემ-თი თბილისს ხელოვნების უბანს ჩუქნის

სოფო კილასონია

კონკურსი 5 ივლისს გამოცხადებულა, მასში მონაწილეობა თოთხმეტ არქიტექტურულ ჯგუფს მიუღია. მაგრამ მათგან მხოლოდ რვა კონკურსანტს წარუდგენია პროექტი განსაზღვრულ ვადაში. წარმოდგენილი მასალების განხილვის შედეგად კონკურსის ჟიურიმ, ჟან ფრანსუა მილუს ხელმძღვანელობით, პირველ ეტაპზე გამოყო ოთხი პროექტი. მათგან სამს მიენიჭა მეორე პრემია, მეოთხეს კი - წამახალისებელი. პირველი პრემია - 5 ათასი აშშ დოლარი არ გაიცა, ამიტომაც ის ლაურეატებზე გადანაწილდა.

ჟან ფრანსუა მილუ: "სამწუხაროა, რომ სრულყოფილი პროექტი, რომელიც პირველ პრემიას დაიმსახურებდა წარმოდგენილთა შორის არაა, მაგრამ რჩეულ პროექტებს შორის, არის ძალიან ბევრი კონკრეტული გეგმა და იდეა, რომლებსაც ჩვენ აუცილებლად გამოვიყენებთ, შევაჯერებთ და მალე პროექტს დასრულებულ სახეს მივცემთ."

ჟიურიმ გადაწყვიტა, რომ ფონდს მისცეს რეკომენდაცია გამარჯვებული პროექტების ავტორები მიიწვიოს სამუშაო ჯგუფში, რომელიც ჟან ფრანსუა მილუს ხელმძღვანელობით და მერიის ურბანული განვითარების დეპარტამენტთან შეთანხმებით მოამზადებს ძირითად პროექტს და მისი განვითარების ქალაქთმშენებლობით დოკუმენტაციას. ამის საფუძველზე შესაძლებელი გახდება კონკურსების (მათ შორის საერთაშორისო) ჩატარება უბნის ტერიტორიაზე არსებული მნიშვნელოვანი ობიექტების არქიტექტურული პროექტების შესაქმნელად. ფონდს ასევე დაგეგმილი აქვს სამომავლოდ კონკურსების ჩატარება უბნის კეთილმოწყობისა და მხატვრული გაფორმების პროგრამების შემუშავებაზე.

ჯი-ემ-თი ჯგუფის პრეზიდენტი ბატონი გიორგი თავაძე ჩვენთან საუბარში კონკრეტული პროექტის ბევრად ფართო მნიშვნელობაზე საუბრობს: "პირველად საქართველოში მოხადა ის, რომ გაერთიანდნენ კერძო ბიზნესი, საზოგადოებრივი ინსტიტუტები: ეროვნული მუზეუმი, ეროვნული ბიბლიოთეკა, სახელმწიფო (მერიის სახით). ჩვენ ერთობლივად შევქმენით ფონდი, რომელიც გუდიაშვილის ქუჩას სამუზეუმო ქუჩად და ამ უბნის ხელოვნების უბნად შექმნის მიზანს ემსახურება. ჩვენი ჯგუფისთვის დიდი პატივია, რომ ასეთ აქტიურ მონაწილეობას ვიღებთ საზოგადოებასა და კერძო ბიზნესს შორის მიმდინარე თანამშრომლობაში და პრიორიტეტების ახალი სტანდარტების შექმნაში.



ჟან ფრანსუა მილუ და მისი ქართველი კოლეგები.

ეს სტანდარტები ერთი მხრივ, ბიზნესს ხდის ანგარიშვალდებულს საზოგადოების წინაშე, მეორე მხრივ, საზოგადოება მეტ ინფორმაციას იძენს ბიზნესის, მისი ამოცანების, მიზნების შესახებ. ამიტომ პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია. ხშირად გვესმის, რომ სადღაც, რაღაც, ბიზნესინტერესების პრიმატია. ფონდი ხელს უწყობს საზოგადოებრივ და ბიზნესინტერესების დაბალანსებას. საზოგადოებამ და სახელმწიფომ მკვეთრად უნდა განსაზღვროს საკუთარი პრიორიტეტები კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით, აგრეთვე კერძო ბიზნესმა შეძლოს იმ ხიდის თამაში, რაც დააკავშირებს მას ეროვნულ მემკვიდრეობასთან და ხელოვნებასთან. ჩვენ გავიარეთ პირველი ეტაპი, რაც მაღალი დონის საკონკურსო პირობების შემუშავებაში მდგომარეობდა, ამ პირობების შესაბამისად ჩატარდა კონკურსი. ამის შემდგომ კონკურსის რამდენიმე მონაწილეს მიიწვევენ ფონდში და გამოჩენილი ფრანგი არქიტექტორის მიერ მოხდება გეგმისთვის საბოლოო ფორმის მიცემა."

გამარჯვებული პროექტებიდან ყველაზე ხილვადი და კარგად ილუსტრირებული მალხაზ თავართქილაძის ხელმძღვანელობით შექმნილი გეგმა გახლდათ. პირველი, რაც საკმაოდ მომხიბვლელი გახლავთ, თავად გუდიაშვილის ქუჩის დაგეგმარებაა. მოცემული პროექტი მას, როგორც გარკვეულ ინტერიერს გვთავაზობს. ამას გარდა მნიშვნელოვანია ბარათაშვილის ხიდის ქვეშ წარმოდგენილი მიწისქვეშა სივრცეები, რომლებიც არქიტექტორის თქმით, პირდაპირ გუდიაშვილის ქუჩას შეუერთდება. დანარჩენ რჩეულ პროექტებში თუ ერთგან წამყვანი სამუზეუმო ქუჩის გამწვანებაა, სხვა შემთხვევაში აქცენტი მის განათებაზე კეთდება. როგორც კონკურსის ინიციატორებმა გვითხრეს, საბოლოო ვერსიის მიღებას პირველი ეტაპის შემდგომ არც არავინ გეგმავდა, მთავარია, რომ საქმე დაიძრა, წინ კი ყველაზე საინტერესო სამუშაო ელით ქართველ არქიტექტორებს.

ფაქტია, რომ გუდიაშვილის ქუჩის ხელოვნების უბნად გადაქცევა მხოლოდ შთამბეჭდავი იდეა არაა. ეს საკმაოდ მასშტაბური პროექტი ქალაქის შემდგომ განვითარებას მთლიანად განსაზღვრავს და მისი ერთ-ერთი მთავარი ცენტრიც გახდება. ამას კი, როგორც ჩანს და როგორც ამბობენ, პროექტების ავტორები და საერთოდ ფონდის დამაარსებლები სრულიად ითვალისწინებენ. გამოდის, რომ სულ მალე საბოლოო ვარიანტს წარმოგვიდგენენ - გეგმას, რომელიც თბილისს ახალ უბანს, ხელოვნების ცენტრს აჩუქებს.


საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
GEORGIAN STATE ELECTROSYSTEM

**საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:**

- აყალიბებს ეფექტურ სისტემებს და შიდა პროცესებს, აწარმოებს მათ შეფასებას და რეკომენდაციებს რისკის პირობებში მართვის კონტროლის გაუმჯობესების ხაზით, აგრეთვე მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, კაპიტალდაბანდებების პროგრამების შეფასებისა და არსებული აქტივების ეკონომიკური მართვის ხაზით.

უწევს მეთვალყურეობას და კურირებს სათაო ოფისის განყოფილებებსა და დანაყოფებს სსე-ის უმაღლესი სტრუქტურების დონეზე კორპორაციული მართვის ფორმით.

- უზრუნველყოფს სახელმწიფო საფინანსო კანონმდებლობის ცოდნის შეძენის უზრუნველყოფისათვის და ხელს უწყობს შესაბამისად ამის განხორციელებასა და მონიტორინგს.

ამცნობს გენერალურ დირექტორს შესაბამის დასკვნებსა და მოსაზრებებს და აგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას და კონტროლის განხორციელებას სახელმწიფო საფინანსო კანონმდებლობის ნორმების დაცვის უზრუნველსაყოფად.

**საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე)**
იწვევს სამუშაოზე მსურველებს
**შიდა აუდიტორის თანამდებობაზე**
შიდა კონტროლის სისტემის შექმნისა და რეალიზაციისათვის სსე-ის მასშტაბით

- ანგარიშს აბარებს უშუალოდ გენერალურ დირექტორს.
**მიღებული განათლება და გამოცდილება:**

უნივერსიტეტის დიპლომი, სასურველია კომერციის განხრით
- 10 წლის გამოცდილება შესაბამის სფეროში

**კვალიფიკაცია-პროფესიონალიზმი:**
- კანდიდატი უნდა ამჟღავნებდეს ფინანსური საქმიანობის მართვის სახელმწიფო კანონმდებლობის საფუძვლიან ცოდნას;
კანდიდატი უნდა ერკვეოდეს უმაღლესი სტრუქტურების დონეზე კორპორაციული მართივს საკითხებში
- კანდიდატი კარგად უნდა იცნობდეს სსე-ის ფინანსურ სისტემას
კანდიდატს უნდა გააჩნდეს ანალიტიკური უნარ-ჩვევები
- კანდიდატს უნდა გააჩნდეს მასალებისა და ანგარიშების წარმოდგენის უნარ-ჩვევები
კანდიდატი უნდა ფლობდეს ხელმძღვანელობასთან და აღმასრულებელ დირექტორებთან ურთიერთობის ჩვევებს
- კანდიდატს უნდა გააჩნდეს დიდი გამოცდილება ფინანსების სფეროში

**გამარჯვებულ კანდიდატს ვთავაზობთ ანაზღაურების მომგებიან პირობებს**

განცხადების ფორმა გაიცემა კადრების განყოფილებაში, ბარათაშვილის ქ.N2, თბილისი, CV შეიძლება ასევე გამოგზავნილ იქნას ელექტრონული ფოსტით მისამართზე: gulsunda.toliashvili@gse.com.ge 2005 წლის 10 ნოემბრამდე.

# გზა

## ლევან ლაღიძის პერსონალური გამოფენა TMS-ში

ლია თოფურია

მხატვრის მსოფლმხედველობა, გამჟღავნებული მის კომპოზიციურ აზროვნებაში; მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სტილისტიკა; ტექნიკურადაც და დატვირთვითაც მრავალშრიანი ფერწერა; სიბრტყეზე კონსტრუირებული ძველი ქალაქის ლაბირინთები თუ, თითქოს, თვითმფრინავის ილუმინატორიდან მზიან ამინდში დანახული პეიზაჟი; თვითჩაღრმავება და მუდმივი ძიება; სრულიად წარმოუდგენელი ფერების ჰარმონიაში გამოხატული, ხელოვანის ამბოხი - ეს ყველაფერი ამ ტილოებზეა.

"ხელოვნებაში პასუხი კი არ უნდა ვიპოვოთ, არამედ კითხვები ვეძებოთ. მხატვრობა ხომ გზაში ყოფნაა. და ყველაფერი მშვენიერი, რასთანაც მხატვარს შეხება აქვს საკუთარ სამყაროში მოგზაურობისას, ცდილობს გადმოიტანოს და რეალურ სამყაროში დაამკვიდროს. ეტაპობრივად შეიძლება იყოს მიგნებები, მაგრამ ეს დიდხანს არ გრძელდება. შემდეგ არის ისევ შრომა, ისევ გზაზე ყოფნა, ისევ ძიება..." - ეს სიტყვები ეკუთვნის მხატვარ ლევან ლაღიძეს, რომლის ფერწერული ნამუშევრების გამოფენა 28 ოქტომბერს გალერეა TMS-ში გაიხსნა.



ლევან ლაღიძე

დიდი ხანია, თბილისურ გამოფენაზე ხელოვნების ამდენი, ქართველი და არაქართველი, მოყვარული ერთად არ მინახავს. დამთვალიერებლები საკუთარ შთაბეჭდილებებს სიამოვნებით მიზიარებდნენ.

ნანა ჩაჩუა, ფსიქოლოგი: "შთაბეჭდილება დიდია. როგორც კი შემოვედი და ამ ნამუშევრებს თვალი შევავლე, შინაგანი ტკივილი დამეუფლა. ეს ტკივილი ის უდიდესი გამოცდილებაა, რომელიც ლევანის შემოქმედებიდან მოვიდა, რომელიც მან გაიარა განცდიდან და რაციონალურს შეეხო. აქ ისეა შეზავებული რაციონალური და ირაციონალური, განცდისეული და გონისმიერი, რომ ხედავ ყველაფერს, რაც თანამედროვეობაში ხდება. ეს არის კაცობრიული სამყარო სივრცეში. ლევანის შემოქმედებაში ახლა, როგორც არასდროს, თვალში მომხვდა ეს ბინდ-ბუნდის ლურჯი. ბინდ-ბუნდისა და ალიონის, გნებავთ, რიჟრაჟის ერთდროულად. ეს არის დასასრული, რომელიც თავის თავში ატარებს დასაწყისს. სამყაროსათვის ხომ დასასრული ამავე დროს დასაწყისს ნიშნავს. სწორედ ეს იწვევს უსასრულობის განცდას... ან მეწამული ფერისა და ფიგურების შერწყმა - ეს არის ზეიმისა და სევდის შერწყმა, ანუ სიბრძნე. თვითონ ავტორიც სწორედ ისეთივეა, როგორიც მისი ნამუშევრები."

გია იაშვილი, მხატვარი: "ლევანს დიდი და ძნელად სავალი გზა აქვს გავლილი. ამ გზაზე გონიერებასთან, ხასიათის სიმტკიცესთან და ნიჭთან ერთად უდიდესი შრომაა დახარჯული. სწორედ ამის შედეგია დღევანდელი გამოფენა, რომელიც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ განსაკუთრებულ პიროვნებასთან და მნიშვნელოვან მხატვართან გვაქვს საქმე. მისი ცნობა ადვილია, განსაკუთრებული სამყარო აქვს. მაგრამ დღევანდელი გამოფენა ახალი ნიუანსებით გამოირჩევა და აშკარად წინ გადადგმული ნაბიჯია. ძალიან მიხარია. ისლა დამრჩენია, ვუსურვო - ასეთივე შემართებით და შემოქმედებითი მუხტით გააგრძელოს თავისი საქმე."

გამოფენა 3 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

# მუზეუმები შედევრებს გაყიდიან

ახლო მომავალში რამდენიმე მსხვილი მუზეუმი მილიონ დოლარად შეფასებულ რეპროდუქციებსა და ქანდაკებებს დაემშვიდობება. ხელოვანთა საზოგადოება ჰგმობს კოლექციების გაყიდვას, მუზეუმების კურატორებს კი ამ გზით სხვადასხვა დავალიანებების დაფარვა გადაუწყვეტიათ.

ნიუ იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის უფროსი კურატორი ჯონ ელდერფილდის თქმით, მუზეუმი 13 ნამუშევარს დაემშვიდობება. ჩამოთვალა შედის პიკასოს, ჰენრი მურის, კეეს ვან დონგენის და სხვათა ნამუშევრები. "აუქციონიდან მოპოვებული თანხა სხვა კოლექციების განვითრებას მოხმარდება. მესმის, რომ ვან რისელბერგის ტილო არაჩვეულებრივია, მაგრამ ის არ შედის იმ პრიორიტეტულ სფეროში, რომლის განვითარებაც გადავწყვიტეთ," - აცხადებს კურატორი. გარდა ამისა, მუზეუმს სხვა დავალიანების დაფარვაც მოუხდება. ექსპერტთა გათვლებით, რისელბერგის პეიზაჟმა მუზეუმს ორმილიონიანი მოგება უნდა მოუტანოს. მუზეუმს ჯერ კიდევ არ დაუფარავს 30 მილიონდოლარიანი დავალიანება, რომელიც რობერტ რაუშენბერგის "რებუსის" შეძენის შემდეგ გაჩნდა.

ნიუ იორკის მეტროპოლიტენ-მუზეუმმა 2005 წლის მარტში ფოტოსურათების კოლექცია შეიძინა. ზოგიერთის დუბლიკატი მუზეუმს უკვე აღმოაჩნდა და ამიტომ ადმინისტრაციამ მათი გაყიდვა გადაწყვიტა. ისინი 2007 წელს აუქციონის წესით გაიყიდება. გაყიდვიდან შემოსული 4-6 მილიონი დოლარიდან მუზეუმის ადმინისტრაცია კოლექციის ყოფილ მფლობელს ვალს გაუსტუმრებს.

ლოს ანჯელესის მუზეუმი კი უარს 43 ექსპონატზე იტყვის. მათი საერთო ღირებულება 15 მილიონი დოლარია. ყველაზე ძვირადღირებული ექსპონატი 3-4 მილიონ დოლარად შეფასდება. საუბარია ესპანელი პეიზაჟისტის მანუელ უმბერტის პორტრეტზე, რომელიც ამედეო მოდილიანის ეკუთვნის. თანამედროვე ხელოვნების განყოფილების უფროსმა კურატორმა სტეფანი ბერონმა აღიარა, რომ ყველაზე უფრო სწორედ ამ ტილოს ბედის გადაწყვეტა გაუჭირდათ. თუმცა მუზეუმს მოდილიანის კიდევ ორი ნამუშევარი დარჩა.

2005 წლის გაზაფხულზე ნიუ იორკის საჯარო ბიბლიოთეკა გასაყიდად მოამზადებს 19 ნამუშევარს. დადის ჭორი, რომ ერთ-ერთი მათგანი კერძო კოლექციაში 35 მილიონ დოლარად გადაინაცვლებს.




# ვინ მოასწრო გადაღება?

## "გადაიღე სანამ დროა" დასრულდა

ეთერ მამულაშვილი







ბოლო ერთი თვეა თბილისში ძალიან ბევრი ფოტომოყვარული შევნიშნე, იმაზე მეტი, ვიდრე ჩვეულებრივ დღეებში. თავიდან ვიფიქრე, რომ ეს თბილისური მოდის ახალი "ტენდენცია" იყო, მაგრამ როგორც მერე გავიგე, ფოტოაპარატი ხელში ბევრს "ჯეოსელის" ახალმა აქციამ აღებინა.

"გადაიღე სანამ დროა", - ასე ერქვა ამ აქცის, რომელიც მობილური კავშირგაბმულობის კომპანია "ჯეოსელის" ინიციატივით მოეწყო, და რომელიც გუშინ კინოთეატრ "ამირანში" გამარჯვებულთა დაჯილდოებით დასრულდა.

ეს იყო პირველი MMS ფოტოკონკურსი საქართველოში, რომელიც პროექტის ავტორის, "ჯეოსელის" წარმომადგენლის, დათო მიზანდარის თქმით - **"ეს არის ჩვენი აბონენტებისთვის მორიგი წამახალისებელი აქცია, რომელიც როგორც სხვა მსგავსი წამახალისებელი პროექტები არის საჩუქარი "ჯეოსელის" მომხმარებლებისთვის".**

გამარჯვებულთათვის დაწესებული პრიზები იმდენად მიმზიდველი იყო, ლამის სულმა წამძლია და კონკურსში მონაწილება გადავწყვიტე.

აი, მათ კი ვინც გუშინ 30 გამარჯვებულს შორის აღმოჩნდა, ბედმა ნამდვილად გაუღიმათ. "კონიკას" ციფრული ფოტოკამერა, "ნოკიას" ფირმის მობილური ტელეფონი, კინოთეატრ "ამირანის" ერთწლიანი უფასო საშვი და უამრავი სასაუბრო წუთი "ჯეოსელისგან", - დამეთანხმებით, რომ ასეთ საჩუქრებს ასე მარტივად არ იძლევიან.

ყველაზე მომხიბლავი კი, რაც ამ პირველ MMS ფოტოკონკურსს ჰქონდა, იყო ის, რომ ტრადიციული კონკურსებისგან განსხვავებით, მას ერთის, ორის ან სამის ნაცვლად ერთდროულად 30 გამარჯვებული ჰყავდა.

გეტყვით იმასაც, რომ MMS ფოტოკონკურსი ანუ მობილოგრაფია ქართული GSM-ის ისტორიაში პირველად ჩატარდა. არადა, მსგავსი აქციები მსოფლიოს ძალიან ბევრ სახელმწიფოში ლამის თვეში ერთხელ ეწყობა. ცნობისათვის, საქმეში ჩახედული ადამიანები მობილოგრაფიას ასე განმარტავენ: ფოტოგრაფიის მიმდინარეობა, როცა სურათების გადაღება მობილური აპარატებით ხდება.

ამ ერთ თვის განმავლობაში "ჯეოსელში" 2500-ზე მეტი ფოტო გაიგზავნა, მათი ნაწილის გადათვალიერება მეც მოვასწარი და გულწრფელად რომ გითხრათ, იმ ადამიანების ცოტათი შემშურდა კიდეც, ვინც "ჯეოსელმა" საკონკურსო ჟიურიში მოიწვია. ფოტოების უმრავლესობაზე იმდენად კომიკური და სახალისო კადრები იყო აღბეჭდილი, რომ თითოეული მათგანი გულიანად სიცილს თუ არა, კარგ გუნება-განწყობილებას აშკარად შეგიქმნიდათ (საუკეთესო კადრები კინოთეატრ "ამირანის" ფოიეში კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში იქნება გამოფენილი).

ბარემ იმასაც გეტყვით, რომ ჟიურის ხუთივე წევრი ცნობილი და პროფესიონალი ფოტოხელოვანია. ერთ-ერთმა მათგანმა, გურამ ჩხარტიშვილმა, რომელსაც მე ვესაუბრე, მითხრა: **"რამდენიმე ისეთი კადრი იყო, რომლის გადაღებას ნებისმიერი ფოტოგრაფი ინატრებდა. განსაკუთრებით მომეწონა "ნეტა გენახას" ნომინაციის პირველი ადგილის მფლობელი. ვფიქრობ, რომ ეს კონკურსი არის ერთგვარი მხარდაჭერა ქართული ფოტოგრაფიის, რისთვისაც დიდი მადლობა "ჯეოსელს".**

თუკი ამჯერად გადაღება ვერ მოასწარი, გული მაინცდამაინც ნუ დაგწყდება. როგორც "ჯეოსელში" ერთმა კარგმა ადამიანმა გამანდო, მორიგი MMS ფოტოკონკურსი ძალიან მალევე, ზამთარში მოეწყობა და ამჯერად ჯილდოები კიდევ უფრო სერიოზული იქნება. ასე რომ, მორიგ კონკურსამდე ლოდინი დიდხანს არ მოგიწევს, მანამდე კი ფართოდ გაახილე თვალები, მიმოიხედე ირგვლივ, დაინახე ის, რაც სხვებისთვის, შესაძლოა, შეუმჩნეველი დარჩა და გადაიღე. გადასაღები კი, იცოცხლე, მართლაც ძალიან ბევრია.

# ჰაინრიხ ბიოლის ფონდში დისკუსიები გრძელდება

ნინო ჩიმაკაძე

გერმანელი მწერლისა და ფილოსოფოსის ჰაინრიხ ბიოლის ფონდში, რომელიც ვაკეში, რადიანის ქუჩაზე მდებარეობს, გასულ ოთხშაბათს მოეწყო საჯარო დისკუსია თემაზე: "დემოკრატია ქალაქში - ვინ მართავს მას და ვინ ვერ მონაწილეობს მართვაში". შეგახსენებთ, რომ მსგავსი დისკუსიები და მსჯელობები აქ უკვე მეორე წელია, იმართება. ბოლო ერთი წელი შეხვედრების ორგანიზატორია რადიო "თავისუფლების" ჟურნალისტი დათო პაიჭაძე. 26 ოქტომბერს მომხსენებლები იყვნენ: თბილისის ყოფილი მერი და საქართველოს ამჟამინდელი ელჩი ევროსაბჭოში ზურაბ ჭიაბერაშვილი, ისტორიკოსი ლაშა ბაქრაძე და მუსიკოსი ვახო ბაბუნაშვილი. დისკუსიაზე საუბარი იყო ადამიანის მოქალაქეობრივ უფლებებსა და მოვალეობებზე, ქალაქის მართვის სისტემებსა და ფორმებზე და იმაზე, თუ რამდენად არის ჩვენი საზოგადოება მზად, ჩაერთოს და აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქალაქის მართვაში. სამივე მომხსენებელი ფიქრობდა, რომ ჩვენს ქალაქში დემოკრატიული მართვა სათანადოდ არ ხორციელდება, თუმცა, მათი აზრი გაიყო საკითხში, თუ ვისი ბრალია ეს. ზურაბ ჭიაბერაშვილმა პასუხისმგებლობა ძირითადად მედიის საშუალებებს და ხალხს დააკისრა, ლაშა ბაქრაძემ და ვახო ბაბუნაშვილმა კი აქცენტი ხელისუფლებაზე გააკეთეს და აღნიშნეს, რომ ინიციატივა მათგან უნდა მოდიოდეს. ბაქრაძემ იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ხშირად ხელისუფლება, იმის მაგივრად, რომ პირველ ნაბიჯს თვითონ დგამდეს, პირიქით, ხალხში კლავს ამ ინიციატივას.

ზურაბ ჭიაბერაშვილმა განაცხადა, რომ მოქალაქეების მხრიდან უმეტესწილად არასწორად ისმება აქცენტები. ამის მაგალითად მან ფასადების შეღებვაზე ხალხის გამოხმაურება მოიყვანა. ყოფილი მერის აზრით, მოქალაქეებმა, იმის ნაცვლად, რომ ეკითხათ, თუ რა თანხა იხარჯებოდა ამ საქმეში და ვისი ჯიბიდან მიდიოდა ეს ფული, დავა ატეხეს იმაზე, თუ რა ფერი იქნებოდა ესა თუ ის სახლი. ლაშა ბაქრაძის აზრით კი, ხალხის მოქალაქეობრივი კულტურის დაბალი დონე ძირითადად მძიმე სოციალური პირობებით არის გამოწვეული, რაც ისევ ხელისუფლების "დამსახურებაა". საბოლოოდ მომხსენებლები შეთანხმდნენ, რომ დღეს ჩვენთან არ არსებობს კონსტრუქციული დიალოგი მმართველ ძალასა და მოსახლეობას შორის (თუმცა, ვინ არის მმართველი ნორმალურ დემოკრატიულ სახელმწიფოში, მთავრობა თუ ხალხი, კიდევ საკითხავია).

დისკუსია საინტერესო გამოვიდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ წელს ჰაინრიხ ბიოლის ფონდის დისკუსიების მთავარი მიმართულება იქნება: ქალაქი და მოქალაქეები, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები, სახელმწიფო ინსტიტუტების მოდერნიზაცია და ქართული საზოგადოება - ტაბუები და სტერეოტიპები. შეხვედრები კი ყოველ მეორე ოთხშაბათს ჩატარდება.

ყურადღება!
რესტორანი
"დაკარგული სამოთხე"
რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.
ტელ. 999-207